

ესტრადული მუსიკა ვარდიშვილი

卷之三

卷之二十一

四

ΕΓΙΑ ΣΤΙΓΑΤ  
ΕΠΙΣΤΟΡΙΑ  
ΕΠΙΓΕΙΟΝ ΗΜΙ  
ΕΠΙΓΙΑ ΗΛΙΟΝ ΗΜΙ

କାନ୍ତିର ପାଦରେ ମହା  
କାନ୍ତିର ପାଦରେ ମହା  
କାନ୍ତିର ପାଦରେ ମହା  
କାନ୍ତିର ପାଦରେ ମହା  
କାନ୍ତିର ପାଦରେ ମହା

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

მარიამ ნინიძე

ა ს ტ ა მ ა ვ რ უ ლ ი დ ა ნ  
პირველსახისკენ

თბილისი  
2005

ება (UDC) 930. 27 (= 9.463.1)  
6 674

0 6 2 0 2 2 6 0 8 6 1 0 6  
3 3 5 0 0 6 0 2 6 6 0 0 6

რედაქტორი – პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

© – მარიამ (მაია) ნინიძე

ISBN 99940-0-400-X

## ქართული ახანის წარმომავლობის შესახებ არსებული გერსიები

ქართული დამწერლობის მეცნიერულ კვლევას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ამ დროის მანძილზე შესწავლილია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში და მის ფარგლებს გარეთ მოპოვებული მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი, გამოქვეყნებულია მათი აღწერილობა და ფოტოები. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ჩვენი დამწერლობის განვითარების თითოეულ ეტაპს V საუკუნიდან დღემდე. ამასთანავე შექმნილია მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომებიც, მაგრამ უძველესი დოკუმენტების მოუღწევლობის გამო ანბანის შექმნის სათავე და პირვანდელი სახე საბოლოოდ გარკვეული არ არის.

თუნდაც ერთი უძველესი წარწერის ან ხელნაწერის მიკვლევამ შეიძლება ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოჰყინოს ნათელი, მაგრამ ძეგლის სიძველის დადგენას დათარიღების უტყარი პრინციპი სჭირდება, მის ჩამოყალიბებას კი ანბანის გრაფიკული განვითარების შესახებ სწორი კონცეფციის შემუშავება. ამგვარი ბაზისის არქონამ შეიძლება უმნიშვნელოვანების აღმოჩენასაც კი დაუკარგოს ფასი. ამიზომ, მიუხედავად იმისა, მოვიპოვებთ ამჟამად ჩვენს ხელთ არსებულ ხე უფრო ძველ ეპიგრაფიკულ ძეგლებს თუ არა, თეორიული ძიებები არ უნდა შეჩერდეს.

ნებისმიერი პრობლემური საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კვლევის წინაისტორიის შესწავლას. ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ არსებობს სრულიად განხსნავებული თეორიები სხვადასხვაგვარი მეთოდებით და დახვენებით. დღეს მკვლევარს საშუალება ეძლევა ყველას შედეგები შეაჯეროს, შემდეგ კი ან მათგან შერჩეული რომელიმე მიმართულებით გააგრძელოს მუშაობა ან, თითოეულისგან მიღებული გამოცდილებით აღჭურვილი, სრულიად ახალ გზას დაადგეს. ნებისმიერ შემთხვევაში ქართულ პალეოგრაფიაში წინ გადაღვმული თითოეული ნაბიჯი ყველა იმ მეცნიერის საერთო დამსახურება იქნება, ვისაც ქართული დამწერლობათმცოდნეობის თეორიული ასაქტები მანამდე უკვლევია ან თუნდაც ერთი ხელნაწერი შეუსწავლია და გამოუქვეყნებია.

### პარმნაულიდან წარმომავლობის თეორია

თეორიას, რომლის მიხედვითაც ქართული ახე-ნიშნების გრაფიკა ბერძნულის მიხედვით არის შექმნილი, ბევრი მიმდევარი პყავს. ეს კონცეფცია ყველაზე სრულად და საფუძვლიანად წარმოდგენილია თამაზ გამყრელიდის წიგნში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“<sup>(2)</sup>. აქ საკითხი შესწავლილია სხვადასხვა დამწერლობების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ ჭრილში, მაგრამ ქართული ანბანის ბერძნულთან გრაფიკული მსგავსების და დამოკიდებულების დასაბუთება არაერთ პირობითობას ეფუძნება.

1. ქართული ანბანის შედარება ხდება ბერძნულის არა კრომელსამე სისტემასთან, არამედ ხან არქაულთან – ცლიცუ (აბგვთპ) და ხან კლასიკურთან – ტიტი იაფ† (დეტიოფქ).

2. როცა ბერძნულის არც ერთ სახეობასთან არ აღინიშნება მსგავსება, ქართული ასო შედარებულია ცალკე დამწერლობებად ჩამოყალიბებულ არამეულთან ყვ(ყვ), ლათინურთან ც(ც) და გოთურთან ც (ც).

3. ქართული ასოების შედარება ყოველთვის არ ხდება მირითად ვარიანტთან, არამედ საჭიროების შემთხვევაში ინვერსიულთან, ზოგში კი ანტიფორმასთან (2.172-179).

4. ქართული ასო-ნიშნებიდან 14 სპეციფიკური ქართული ბგერის გამომხატველია. მხოლოდ 22-ის ფონეტიკური მნიშვნელობა ემთხვევა ბერძნულს და სწორედ მსგავსი ფონემების აღმნიშვნელ ასოთა ჯგუფის შედარებას უნდა წარმოეჩინა ამ დამწერლობათა ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ აქედან 6 ასოს - ზექსილ (ზლმნსტ) შესახებ ნათქვამია (2.173-175), რომ მათ ფორმის მხრივ არაფერი აქვთ საერთო ბერძნულთან და ¾(ჟ)-ს ბერძნულიდან წარმომავლობა ვარაუდის დონეზეა გამოთქმული (2.174). ამრიგად, ეს ჯგუფი კიდევ უფრო მცირდება და 15 ასომდე დაიყვანება, მაგრამ ეს თხელმეტიც ბერძნულთან საგულისხმო მსგავსებას ვერ ავლენს. მათ ურთიერთკავშირს არადამაჯერებელს ხდის არა ის, რომ ასოებს შორის არაერთი განმასხვავებელი ელემენტია (2.172-180), არამედ ის, რომ ეს შეუსაბამობა ყველა გრაფემასთან მიმართებით თავისებურია. ბერძნულის საფუძველზე ქართული ასო-ნიშნების მისაღებად საჭიროა:

**ჭ** – **ც** (ა) პორიზონტალური ხაზის დამატება, დიაგონალის წაშლა და კუთხის რკალად ქცევა.

**ბ** (B) – **ჲ** (ბ) ქვედა მუცლის მოცილება და ბუნის ქვედა ნაწილში მარჯვნივ წარზიდული ხაზის დამატება.

**ე** (ე) – **თ** (გ) ბუნის ბოლოში პორიზონტალური ხაზის, ხოლო ასოს ზედა ნაწილში ვერტიკალური შტრიხის დამატება.

**დ** – **ს** (დ) პორიზონტალური ხაზის დამატება და სამჯულხედის წრეხაზად ქცევა.

**ვ** (E) – **ი** (ე) ორი ქვედა ხაზის მოცილება და ზემოთ ვერტიკალური შტრიხის დამატება.

**ჭ** (F) – **წ** (ვ) შეა გასწვრივი ხაზის ბუნის მარჯვნივ გატანა და პორიზონტალების ბოლოებში ვერტიკალური შტრიხების მიწერა.

**ჩ** – **ჩ** (ც) მარჯვენა ასწვრივი ხაზის ზედა ნაწილის ჩამოცილება და პატარა პორიზონტალის დამატება.

**თ** – **ფ** (თ) რკალის მარჯვენა ნახევრის ჩამოცილება და პორიზონტალის მარცხენა ნაწილის მოშლა.

**ლ** – **ლ** (ი) პორიზონტალური ხაზის დამატება.

О – О (ო) მოკლე ოკალური ფორმის დამატება.

П (П) – Ս (Յ) მომრგვალება და პორიზონტალური ხაზის დამატება.

Р – ჸ (რ) მარჯვენა წრეხაზის ქვემოთ ხამოწევა, მისი ოკალალ ქცევა და ბუნის ქვედა ნაწილის მარცხნივ მოხრა.

Ү – Վ (Վ) მარჯვენა ნაწილის გამართვა და მარცხენას წრეხაზალ ქცევა.

Φ – Φ (ფ) ასო-ნიშნის თავის ვერტიკალის ბოლოში აჩანა.

Х – † (ქ) ჯვრის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა.

ირკვევა, რომ ახალი ასოს მიღების წესი თხუთმეტსავე შემთხვევაში განსხვავებულია. ამასთან ათი ასო **ԾԾՒԳՈՒԳՓ†** (ადტიორუფქ) შედარებულია ბერძნულის მირითად ვარიანტთან, ოთხი: ԱԼԴԻ (ბგევ) - პირმარცხნივ შებრუნებულთან და ერთი - Ս (Յ) - გადმობრუნებულთან, ანუ საერთო წესი ამაშიც არ არის დაცული. საგულისხმოა, რომ ქართული გრაფემებისათვის ბერძნულისაგან განმასხვავებელ ცალკეულ ელემენტთა დამატება არაფუნქციონალურია, გრაფიკული დირექტულება არა აქვს, არ განასხვავებს ამ ნიშანს სხვებისგან. ე. ი. მათი არსებობა აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

რაც შეეხება დანარჩენ 10 გრაფემას, რომლებიც ქართულისათვის დამახასიათებელ ბერძებს აღნიშნავს, მათგან ხუთი ასო: ԿիტՆ (ყჩხევ) ქართულივე სხვა გრაფემების ՄՀՃՍ/Լ (შნმგპ/ს) -ს მიხედვით შექმნილად არის მიჩნეული, Կ და Խ (ჭ) – აკროფონებად, Ծ (ჭ) -ს გრაფიკული პირველწერო დაუდგენერებით (2.179) და ორი ასოს Կ და Ո (յღ) (2.178-179) სათავედ დასახელებულია ბერძნული გრაფემები, რომლებიც ბერითი მნიშვნელობებით განსხვავებულია.

როგორც ვხედავთ, გრაფემათა წარმოებას არავითარი სისტემური კანონით განვითარება არ აწესრიგებს. ამ მოკლენის შესაძლებელ ახსნად მიჩნეულია ის, რომ „ასომთავრული დამწერლობის შემქმნელი ცდილობს ამ გზით დაფაროს ახლად შექმნილი ქართული ანბანის დამოკიდებულება და კავშირი მისი დროის ბერძნულ წერით სისტემასთან. იგი ამ მიზნით ახდენს ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოთა ისეთ მოდიფიკაციას ქართულ ში, რომ სათანადო ბერძნულ და ქართულ ასო-ნიშნებს შორის იკარგება ყოველგვარი ფორმალურ-გრაფიკული კავშირი, რომლის გამოვლენა მხოლოდ საეციალური გრაფიკული ანალიზის საშუალებით თუ ხერხდება. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიშნები სათანადო ბერძნული წერითი სიმბოლოების შეგნებულ გრაფიკულ სტილიზაციას წარმოადგენს“ (2.183).

ქართული ანბანის შემოქმედს ბერძნულის გავლენის დაფარვა რომ პქონოდა განზრაბეული, პირველ რიგში ასოთა რიგს დაარღვევდა და თან უველა ნიშანს შეუცვლიდა სახეს, მაგრამ ქართულ ში ასე არ არის - ასოთა რიგი მათ საერთო ნაწილში იგივეა, ორს - Փ და † (ფქ) -ს აშკარად ეტყობა ბერძნულის გრაფიკული გავლენა და თვალშისაცემია ასო ՕԳ (უ)-ს გრაფიკული კომპლექსის ერთნაირი შედგენილობა.

წარმოდგენილი თეორიის ძირითადი დასაყრდენი ქართული ანბანის რიგია, რომელიც ხავრთო ნაწილში ბერძნულს ემთხვევა, მაგრამ ამ წყობით ქართული გრაფემების დალაპება მათი შექმნილან რამდენიმე ხაუკუნის შემდეგაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეთა რიგის მხგავსება ერთი ანბანის მეორეზე გრაფიკულ დამოკიდებულებას და მისგან წარმომავლობას თავისთავად არ გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით იქ ჯავახიშვილი წერს: „ქართული ანბანის წარმოშობის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება მარტო ბერძნული და ქართული ანბანთა წესრიგის შედარებით. აქ უმთავრესი მნიშვნელობა, რახაკვირველია, თვით ასეთა მოუკანილობა-მოხაზულობის მხგავსებასა და იგივეობას აქვს“ (31. 201). ბერძნული და ქართული დამწერლობების შედარებითი შესწავლით ვლინდება, რომ მათ შორის გარეგანი, სისტემური კავშირია და არა „გენერიკური“, რაც გვიანდელი გავლენით უნდა აიხსნას და არა ერთი მათგანის მეორისგან წარმომავლობით.

### ვინიკიურიდან წარმომავლობის თეორია

ქართული ანბანის წარმომავლობის კვლევას პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ივანე ჯავახიშვილმა მიუძღვნა. წიგნში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (31) იგი წერს: „თითოეული ქართული ასოს მოხაზულობის... შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართულ დამწერლობას მახლობელი აღმოსავლეთის სხვა დამწერლობათა შორის სრული მხგავსებით უშუალო ნათესაობის ან დედნობის გამომამედავნებელი არ მოვპოვება. ამის მაგიერ ჩვენ ხან ფინიკიურსა და სიღონეურ-პუნერში, ხან მოაბურსა და უძველეს ებრაულში, ხან კიდევ არამეულსა და პალმირულ-ნაბატეურში, ზოგჯერ თვით საბაურსა და პიმიარულში გვხვდება ქართული ამა თუ იმ ასოს მოხაზულობის თავისებურების მხგავსი მოვლენები. რადგან ამასთანავე მხგავს მოვლენათა შემცველი ანბანები სხვადასხვა დროისანი და ერთიმეორისაგან და ქართველთაგანაც გეოგრაფიულად ძალზე დაშორებული არიან, ამიტომ ეს მხგავსება არ შეიძლება ქართული ანბანის ხადაურობის გამოსარკვევად გამოყენებული იყოს“ (31. 228).

ქართული დამწერლობის სხვა აღფაბეტებთან შედარების საფუძველზე მეცნიერმა სხვებზე მეტი მხგავსება ფინიკიურთან დაინახა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ ჩვენს ხელით არსებული ასომთავრული გრაფიკა პირველსახისგან საკმაოდ დაშორებული იყო. ამიტომ ზუსტი დასკვნის გაკეთება შეუძლებლად მიიჩნია და მხოლოდ ვარაუდის სახით აღინიშნა, რომ ჩვენი ანბანი შესაძლოა შექმნილიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII ხაუკუნეზე ადრე ფინიკიურის მიხედვით. იგი წერს: „მაინც მეცნიერული ხიფრთხილე სჯობია და სანამ ქართული დამწერლობის VI ხაუკუნეზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ პიპოთეზად მიმაჩნია...“ (31. 226,230).

მოგვიანებით ჩვენი დამწერლობის ფინიკიურიდან წარმომავლობის, ვერსიის შემდგომი კვლევა და არგუმენტებით განმტკიცება ხცადა რამაზ პატარიძემ წიგნში „ქართული ასომთავრული“ (14). ნაშრომში საინტერესოდ არის განხილული ასო-ნიშანთა შესაძლო მიმართება ციურ სხეულებთან და წარმართულ ღვთაებებთან, მაგრამ ფინიკიურთან გრაფიკული ნათესაობის ანალიზისას პირობითობები კვლავ ბევრია.

1. არც აქ ხდება ღროში შემოფარგვლა. ქართული გრაფები შედარებულია ფინიკიურის ორგორც არქაულ, ისე კლასიკურ და საჭუალ ფორმებთან.

2. აქაც არის დაშვებული გამონაკლისები, როცა შესადარებლად გამოყენებულია არა უშუალოდ ფინიკიური, არამედ ცალკე დამწერლობებად ჩამოყალიბებული განშტოებები – კვიპროსული 7 (ე) და არამეული 4 (ჟ).

3. გრაფები შედარებულია ხან მირითად ფორმასთან, ასეთია ასომთავრულის 23 ასო – **ცვლილების ცივილიზაციის** (აბგვაზთიოლმაობულქენტენჯვ), ხან 90 გრადუსიანთან – 1 ს (ხდ), ხან ინვერსიულთან – 45 ს (კრისტი) და ხან ანტიფორმასთან – 45 ს (კრისტი).

4. მინნეულია, რომ 4 შემთხვევაში თითო ფინიკიური ასოდან ხამსამი ქართული გრაფემაა ნაწარმოები: ლ; რ; ჩ; ც; ტ; ტქ; ტქ; წ; წქ; ცაქ) და 6 შემთხვევა გვაქვს ორ-ორის წარმოებისა: ზ; ზქ; ს; ფ; ც; ცქ; ზ; ზქ; ს; ფქ; ო; ლ). ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბგერათა შესაბამისობა უმეტესად დარღვეულია.

5. ასოთა რიგი და გრაფემათა ფონეტიკური მნიშვნელობები ქართული ანბანის ე.წ. ფინიკიურ ჯგუფში ზოგჯერ არ ემთხვევა ფინიკიურს – **ცატის ცა** (თკპეტის).

კვლევისას ამდენი სავარაუდო დაშვების და პირობითობის მიუხედავად ქართული და ფინიკიური ასო-ნიშნების განმასხვავებელი ელემენტების რაოდენობა უმეტესად 2-3, ზოგჯერ კი მეტიც არის. ამასთანავე არ არსებობს რაიმე საერთო წესი და კანონზომიერება. ამიტომ, გრაფიკული ანალიზის მიხედვით, ქართული ანბანის ფინიკიურიდან მომდინარეობაც არ ჩანს დამაჯერებელი.

რამაზ პატარიძის წიგნის მიხედვით ქართული ანბანი და მისი წყობა გრაფემათა რიცხვითი მნიშვნელობებითურთ ფინიკიურიდან მომდინარეობს, მაგრამ მასში ჩადებულია ბევრი ისეთი საიდუმლო, რომელიც პირველწაროში გათვალისწინებული არ იყო. ამ აზრის განვითარებისას წარმოდგენილი თეორია საკმაოდ წინააღმდეგობრივია. თუ გრაფემების **ცატის ცა** (ალთორ) რიგითი ნომრები და ბგერითი მნიშვნელობანი ფინიკიურს უკრდნობა, როგორ ხდება, რომ ქართულში იმავე რიგითა და იმავე ბგერითი მნიშვნელობით განპირობებული სახელდებების მიმართება მათთან ორიგინალურ შინაარსს ატარებს. მაგალითად 7 (ა)-ს პირველ ადგილზე დგომა მიგვანიშნებს, რომ „ან“

მთვარე პირველ ცაზეა; Ծ (დ)-ს რიგითი ნომერი 4 იმაზე, რომ „დღე დღესინდელი“, ანუ მზე IV ცაზეა (აქ ერთი გაურკვევლობაცაა, თუ პორიზონტალური ხაზი ტ-ში პირველ ცას ნიშნავს, მაშინ რატომდა არის იგი მზის აღმნიშვნელ Ծ (დ) გრაფემის შემადგენლობაშიც, რომელიც პირველ ცაზე არ არის); ჸ (ო) მე-9 აღგილზე იმიტომ დგას, რომ „თვალი“ მზის ემბლემაა და მზის რიცხვი ცხრაა; ზ (ლ)-ს რიგითი ნომერი 12 თითქოს გვამცნობს, რომ თვევზი მე-12 ზოდიაქალური ნიშანია; ჸ (რ)-ს რიგითი ნომერი 19 კი მოწმობს, რომ „რა“ მზის დმერთის სახელია და მზისა და მთვარის ცხრამეტწლიან კალენდარულ ტოლობაზე მიგვანიშნებს. ამ დაკავშირებებისას არ არის გათვალისწინებული, რომ ამ ბგერების აღმნიშვნელი ნიშნები ფინიკიურშიც იმავე აღგილზე დგას. გრაფემის რიგითი ნომრის, სახელდებისა და მოხაზულობის ამგვარი კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ეს ყოველივე ორიგინალური, ქართული წარმოშობისა თუ იქნებოდა.

Ծ (დ)-ს რიგითი ნომერი 4 და ნაწილობრივ დონ-ის იზოფსეფიური მნიშვნელობაც – 124 განპირობებულია სემიტური „დალეთ“-ის მე-4 აღგილზე დგომით და მასში ქართული ანბანის შემოქმედი ვერ ჩადებდა თავის სათქმელს, რომ ყოველი მეოთხე წელი ნაკიანია და 31 ასეთი წელი გვაძლევს 124-ს.

ზ (ლ) და ჸ (რ)-ს რიგითი ნომრები 12 და 19 და ნაწილობრივ მათი სახელების (ლას და რაე) იზოფსეფიური მნიშვნელობებიც – 231 და 106 სემიტურ-ბერძნული ასოთა რიგით არის განპირობებული. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გრაფემათა სახელები ლას და რაე მკვლევარს დვთაებათა სახელებად მიაჩნია და არა ანბანის შემოქმედის მიერ ამგვარი იზოფსეფიური მნიშვნელობების მისაღებად საგანგებოდ გამოგონილ კომბინაციებად, ამდენნაირად შეზღუდული ანბანის შემოქმედი ზ და ჸ ასოების რიგითი ნომრების ჯამში წელიწადის ხანგრძლივობის ასტრონომიულ ფორმულას და იზოფსეფიურ ჯამში ქართული წარმართული კალენდრის შემოღების თარიღს ვერ გააცხადებდა.

ჭველი ქართულის მსგავს წესზე განლაგებულ ყველა ანბანში მე-12 აღგილას მდგომი გრაფემის რიცხვითი მნიშვნელობა 30-ია. თუმც ბევრ დამწერლობაში, მათ შორის სემიტურშიც, 31 გრაფემა საერთოდ არ არსებობს, გრაფემათა რიგისა და რიცხვითი მნიშვნელობების შესაბამისობის ზოგადი პრინციპი განაპირობებს იმას, რომ 31-ე აღგილზე მდგომი ასო წ (წ)-ს რიცხვითი მნიშვნელობა იუს 4000. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ამ რიცხვების – 31 და 4000 გვერდიგვერდ დგომა განაპირობა ანბანის შემოქმედის იდუმალმა განზრახვამ, ასო წ (წ)-ში გაეცხადებია კალენდარული საიდუმლო და გეომეტრიული ფორმულა. არაბული ციფრებით გვერდიგვერდ დაწერილი 31 და 4000 გარეგანი იერით მაინც გავს 3,14-ს, მაგრამ ძნელი სათქმელია, რომ ასომთავრულით დაწერილ

ციფრებს ზუ და პ და ლ,15 მორის ახეთი შორეული მსგავსება მაინც იყოს. საუკუნეების წინათ კი ეს რიცხვები სწორედ ამ სახით იწერებოდა. იმ რეალურ კითარებასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ათწილადების წერის ამგვარი მეთოდი იმ დროისათვის მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობდა, ასო პ (წ)-ს ფარული შინაარსი კიდევ უფრო საეჭვო გახდება.

თუ ასო ც (ა) მთვარის გამოსახულებაა, ც (თ) – თვალისა, ზ (გ) – სასწორისა, და ჸ (რ) – მზისა, საეჭვოა, რომ ამ ასო-ნიშნების მოხაზულობა მოდიოდეს იმ გრაფემებიდან, რომლებიც თავისთავად სულ სხვა იდეოგრამა-აკროფონებია და აღნიშნავს აღვევ – ხარს, ტეო – გორგალს, ვაკ – ნამგალს და რეშ – თავს (14.110, 123-131, 434).

გამორიცხული არ არის, რომ ქართული ანბანის ასო-ნიშნებს მართლაც პქონდეს კავშირი ციურ სხეულებთან ან ლვთავებებთან, მაგრამ თუ მათ შექმნას ეს პრინციპი დაედო საფუძვლად, მაშინ რადაც საერთო კანონზომიერება უნდა არსებობდეს და თან უნდა უარვეოთ ჩვენი ასომთავრულის ფინიკიურიდან წარმომავლობა.

### სომხური ვერსია

ქართული დამწერლობის სომხურთან მიმართების კვლევას განსხვავებული საფუძველი აქვს. სომხურ ისტორიულ წყაროებში (5.037; 30.223-224; 32.100-101) არის ცნობა V საუკუნის სომები მოღვაწის, მესროპ მაშტოცის მიერ ამ ორი დამწერლობის შექმნის შესახებ. მაგრამ, ნიშანდობლივია, რომ ამ ინფორმაციის შემცველი კპიზოდები კველა ტექსტში გვიანდელი ჩანართია (31.200; 5.046) და იგი ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრებისეულ“ ცნობას ქართული დამწერლობის ფარნავაზ მეფის დროს (ძვ.წ. III ს.) შექმნის შესახებ (19.26). ეს შეუსაბამობაც რომ არ ყოფილიყო, მსგავს ინფორმაციას პალეოგრაფიული კვლევის საფუძველზე დადასტურების გარეშე მეცნიერული დირებულება ისედაც არ ექნებოდა, ამ ორი ანბანის გრაფიკული ანალიზის შედეგები კი მის სარწმუნოობას კიდევ უფრო გამორიცხავს.

ერთნაირი ბერების აღმნიშვნელ უძველეს სომხურ გრაფემებთან მოხაზულობის მხრივ ქართული ისევე არ ავლენს არსებით მსგავსებას, როგორც ბერძნულთან და ფინიკიურთან. სომხური და ქართული დამწერლობების გრაფიკულ სისტემებს გარკვეული შინაგანი მოწესრიგებულობა ახასიათებს, მაგრამ ამოსავალი პრინციპები ერთისთვის სხვაა და მეორისთვის – სხვა.

I. სომხურში ხშირია ასწვრივი დვრძის შუა ნაწილიდან გამომავალი ჩაუკეტავი პორიზონტალური ხაზი წ გ რ ც ს რ ს რ (ბგდეტოჟრე) (10.75), ქართულში კი მსგავსი კლემენტის შემცველი მხოლოდ ორი ასოა ც (თ) და ჸ (რ).

ერკათაგირში 5 შემთხვევა გვაქვს იმისა, რომ ერთი გრაფემა მეორის ინვერსიულ ვარიანტს ან ანტიფორმას წარმოადგენს ც-ჟ, ი-უ, ლ-უ, ჭ-ჭ, წ-წ ა-ა (შჩ); ი-ი (ობ); ზ-ზ (ლნ); ლ-ლ (ბქ); ჟ-ჟ (ბე), უძველეს ქართულ ძეგლებს კი აშკარად ეტყობა მხგავსი ფორმებისთვის თავის არიდების ტენდენცია. ლ და ზ (ბზ)-ც კი, რომლებიც ერთმანეთის 180 გრადუსიან ფორმებს ჰგავს, განსხვავდება ხოლმე იმით, რომ ლ (ბ)-ს თავი შეკრული ნახვარწრეა, ზ (ბ)-ს ქვედა ნაწილი კი – სრული წრე (31.ტაბ.5 II, IV).

3. ქართულ ასომთავრულში სისტემურად არის გატარებული მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ მიმართული წერისთვის ოპტიმალურად მოხახერხებული გრაფიკული მოხაზულობა. ამიტომ მისთვის არ არის დამახასიათებელი მარჯვენა ზედა მეოთხედში დამთავრებული, არამდგრადი ფორმები, როგორებიცაა სომხური ც. ქ. წ(მტრ).

4. სომხურში არ გვხვდება ზემოთ ან ქვემოთ გასხნილი ორმხრივ მართკუთხა მოყვანილობის არცერთი ასო, ქართულში კი ასეთები თითქმის მესამედია: ლიტერატურული (გვეტლჩქენები).

ქართული და სომხური დამწერლობები ერთი ადამიანის მიერ რომ იურს შედგენილი, საერთო პრინციპი უპირველეს ყოვლისა ამ ენებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელი გრაფიკული ელემენტების აგებულებასა და ანბანურ რიგში მათ განთავსებაში აისახებოდა. სომხურში ეს ჯგუფი წარმოადგენს გრაფიკული სტილით დანარჩენებისგან განსხვავებულ, ნახატისებრ ასოებს ც ვ გ ვ ბ ჯ ს ლ ჭ (შჩცმწხეჯ) (10.69,76) და იხინი ანბანორიგში სხვადასხვა ადგილასაა გაბნეული. ქართულში კი პირიქით – იმავე სპეციფიკური ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები აგებულების სტილით არაფრით არ გამოირჩევა დანარჩენი ასო-ნიშნებისაგან, მაგრამ ცალკე ჯგუფად არის მოთავსებული ანბანის ბოლოში ყհცერბბჯ (შჩცმწხეჯ) და რაც უკელაზე ნიშანდობლივია, მათი წყობა, სომხურისგან განსხვავებით, „გარკვეული ფონეტიკური პრინციპით“ (2.155) არის განპირობებული.

როგორც ვნახეთ, აღრეულ პერიოდში სომხურთან მხგავსება არც სისტემურ დონეზე დასტურდებოდა. ელენე მაჭავარიანი სავსებით დამაჯერებლად განმარტავს, რას შეიძლებოდა გამოეწვია მოგვიანებით ამ ორი დამწერლობის გარეგანი, სტილური დამსგავსება. იგი წერს: ქართულ ანბანში თავშეექრული ასოების გახსნის შემდეგ „როცა ნუსხურ დამწერლობაში სწრაფი გამარტივებული წერისკენ მისწრაფებამ ახოთა მოხაზულობანი მარჯვნივ გადახარა და მათ მიანიჭა კუთხოვანი ფორმა, როცა გაბმული წერის დროს ხატოვანი ელემენტებისა და პორიზონტალური შეკრილების თვალსაჩინოება, თუ შეიძლება ითქვას,

ერთგვარად წაიშალა, ქართული და სომხური ტექსტები დაწერილობის საერთო იერით დაემსგავსა ერთმანეთს“ (10.77). ცხადია, რომ გვიანდელი დამსგავსება საერთო წარმომავლობას არ ნიშნევს და დამწერლობათა ნათესაობის კვლევისას ორიენტაცია მასზე არ უნდა გაკეთდეს, როგორც ამას ზოგიერთ მეცნიერთან უხვდებით (34.43,44).

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სომხურ დამწერლობაში გამოყენებულია ეთოოპური გრაფიკული ფორმები და ანბანი მათი მოღიურიაციით არის შექმნილი (34.38-46; 33). ქართული დამწერლობის აგებულებაში მსგავსი მეთოდი და ძირები არ შეინიშნება. წარმოუდგენელია, რომ ერთსა და იმავე ადამიანს ორი ანბანი ისე შეექმნა, რომ ერთი საერთო პრინციპი მაინც არ გაეტარებია ორივეგან. უძველეს სომხურ და ქართულ გრაფიკულ სისტემებში კი მსგავსი საერთო პრინციპები არ დასტურდება. ამდენად მათი შემოქმედი ერთი და იგივე პიროვნება ვერ იქნებოდა.

### ორიგინალური ბრაჟიკალი რარმომავლობის თეორია

რადგან ბერძნულთან, ფინიკიურთან და სომხურთან, ისევე როგორც პინდურთან, ფალაურთან და მსოფლიოს სხვა დამწერლობებთან, ქართული ანბანის შედარებამ ნათესაური კავშირის დასამზტკიცებლად საქმარისი საფუძველი არ გამოავლინა, განნდა კვლევის სხვა მიმართულება, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანი გარკვეული პრინციპით ხელოვნურად შექმნილ გრაფიკულ სისტემად იქნა მიჩნეული. ეს კონცეფცია ემყარება ჩვენი დამწერლობის გრაფიკის სისტემურ ანალიზს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, მათ შორის ფარნავაზის ეპოქაშიც, კაცობრიობას უკვე პქონდა განვლილი გზა პიკტოგრაფიული დამწერლობიდან ანბანურამდე და ძლიერდებოდა გრაფემების მოხაზულობათა გამარტივების ტენდენცია. ქართული ანბანის შემოქმედს, რომელმაც შეძლო სამეტყველო ენაში 36 ბგერის იდენტიფიკაცია, მათ აღსანიშნად ერთმანეთისგან განსხვავებული ამდენივე ნიშნის შექმნაც არ გაუძნელდებოდა. არ იყო ამისთვის აუცილებელი სხვადასხვა ეპოქის განსხვავებული ალფაბეტებიდან ასო-ნიშნების ამოკრეფა და მათი გადაკეთება.

ამ ასპექტით ფუნდამენტურია ელენე მაჭავარიანის ნაშრომები. წიგნში „მწიგნობრობა ქართული“ ნათქვამია: „ასომთავრულის სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემა, რომელიც ერთი პრინციპით და ერთბაშად არის შექმნილი, გამორიცხავს რომელიმე ასო-ნიშნის სხვა ანბანთაგან წარმოშობის შესაძლებლობას. განსაზღვრული გორმეტრიული ელემენტების საფუძველზე პირობითობის პრინციპით აგებული გრაფიკული სისტემა თავის მხრივ მიგვითითებს, რომ ჯერ ასოთა მოხაზულობანი შეიქმნა, ხოლო შემდეგ ასევე ერთბაშად მოხდა ანბანურ რიგზე გაწყობა შესაბამისი ბგერითი სახელწოდებებისა და რიცხვითი მნიშვნელობების მინიჭებით“ (9.3).

წიგნში „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“ (10). ვრცლად არის წარმოდგენილი ქართული ანბანის გრაფემათა ჩვენამდე მოღწეული ფორმების სტრუქტურული ანალიზი, მაგრამ მათი შექმნის პრინციპთან დაკავშირებით არის გარკვეული წინააღმდეგობები. აქ გამოყოფილია 12 გრაფიკული მოხაზულობა, რომლებიც საწყის ფორმებად არის წოდებული და ნათქვამია, რომ ისინი სხვა ასოთა განეითარების დასაბამს წარმოადგენს. მაგრამ ამათგან 4 ფორმა ესტრუქტურული გრაფემებად გამოყენებული არ არის და 2 ფორმა და 4 (უფ) არცერთ სხვა გრაფემას არ აწარმოებს. ამასთანავე საეჭვოდ გვეჩვენება ანბანის შემქმნელის მიერ ქ ფორმის გრაფემად გამოყენება და † ფორმისა სხვა ასო-ნიშნების საწარმოებლად. ჩვენი აზრით, რაიმე მოხაზულობა რამდენიმე გრაფემის საერთო საწყის ფორმად რომ მივიჩნიოთ, სხვადასხვა ვარიაციებში ამ ძირეულ ნიშანს ახალი ელემენტები უნდა ემატებოდეს, მაგრამ არ უნდა აკლდებოდეს. არადამაჯერებელია, რომ † იყოს ქ და ს გრაფემების საწყისი ფორმა.

ნაშრომში ცალკე არის გამოყოფილი ასოები, რომელთა ძირითად საწყის ფორმად დიდი წრეა დასახელებული. ი ფორმიდან მართლაც შეიძლება იყოს წარმოებული Ծ (დ) და ღ (ო) გრაფემები, მაგრამ არა ცთფ (ცათ), მით უფრო – ძ (ჸ). რადგან ამ თეორიის მიხედვით ასომთავრულში ყველაზე მყარი პრინციპი ასოთა სიმაღლეში თანაბრობაა, შეუძლებელია, რომ ასო ძ (ჸ) დიდი წრეხაზით შექმნილიყო და მისი ზედა ელემენტი კვადრატული ჩარჩოს გარეთ გასულიყო.

ქართულ ანბანში ცალკეული მარტივი ფორმების, მაგ. **O I P** გამოუყენებლობა წიგნში ახსნილია განზრახვით, რომ ქართული გრაფემა არ დამთხვეოდა ბერძნულს. მოხაზულობა ქ მდგრადიც არის, ქართული დამწერლობის პრინციპებისათვის სავსებით მიხადებიც და არც რომელსამე ბერძნულ გრაფემას ემთხვევა. ამიტომ წარმოდგენილი პრინციპის მიხედვით იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული რომელიმე ბგერის აღსანიშნავად. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში გამოთქმულია მოხაზრება, თითქოს უძველეს დროში ამ სახით ქართული ასო ს იწერებოდა, მაგრამ ყველა უძველეს წარწერასა და ხელნაწერში, სადაც ეს გრაფემაა წარმოდგენილი, ფიგურირებს მარჯვნივ წარზიდული პორიზონტალური ხაზი ქვემოთ დაშვებული ბოლოთი. დოკუმენტური მონაცემებით არ დასტურდება ის აზრი, თითქოს ს (ს)-ს დამაბოლოებელი პორიზონტალური ხაზი VIII ს-ის შემდგომი მოვლენაა (10.55) და მას მანამდე, საუკუნეების მანძილზე სულ ს მოყვანილობა პქონდა. ს (ს)-ს პორიზონტალური შვერილი კარგად ჩანს მცხეოს ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში, ხანმეტ პალიმფსესტებში, სინურ მრავალთავში, წყისის ციხის კონსტანტის მოხახსენებულში და მრავალ სხვა ადრეულ წარწერაში. ამას გარდა ასო ს (ს)-ს ს ფორმა ვერ ექნებოდა იმ მიზეზითაც, რომ ზუსტად ამ სახით არაერთ ადრეულ წარწერაში წარმოდგენილია გრაფემა ს (ს). ეს დასტურდება მცხეოს ჯვრის VI

საუკუნის წარწერაში, დმანისის V-VI საუკუნისაში და ბევრ სხვა დოკუმენტურ წერილში.

მოხაზულობა 7 ჯერ კიდევ V-VI საუკუნეების პალიმფსესტებში ფიქსირდება „„ ბგერის აღსანიშნავად. იმის საბუთი კი, თითქოს მას თავდაპირველად 7 ფორმა პქონდა და „„ ბგერას აღნიშნავდა, არ მოგვეპოვება.

ქართული ანბანი ამგვარი პრინციპით რომ იყოს შექმნილი, სავარაუდო იქნებოდა ზოგიერთი გრაფემის უფრო მარტივი მოხაზულობა. 1 (ც)-ს პორიზონტალი, Q (ო)-ს ქვედა წანაზარდი, C (ც)-ს არასტაბილური დაბოლოება, ჭ (მ)-ს მარჯვნივ წარზიდული ხაზი და სხვანი ვერ თავსდება მარტივი გეომეტრიული მოხაზულობის ჩარჩოებში.

განხილული თეორიის მიხედვით ჩვენი დამწერლობის სტრუქტურა ქართული არქიტექტურული ძეგლების ოთხკუთხა წყობის გვირგვინოვანი გადახურვის პრინციპს უკავშირდება. ამ დასკვნამდე ავტორი მიჰყავს ასომთავრულის აგებულებაში შემავალ სამი სხვადასხვა ზომის ელემენტებზე დაკვირვებას, რომელთაგან ყოველი მომდევნო ხაზი ან წრეწირის დიამეტრი წინაზე ორჯერ ნაკლები სიგრძისაა.

$h_1 = h/2 = H/4$  (10.13). მაგრამ გადახურვის დასახელებულ სისტემაში საამშენებლო მორების ზომა ორჯერ რომ კლებულობდეს, კვადრატის გვერდების შეუა წერტილების შესაკავშირებლად სიგრძე არ ეყოფოდა. კლება იქ სხვა კანონზომიერებით ხდება:  $h_1 = h / \sqrt{2} = H / 2$  ამდენად სიდიდეში ორჯერ კლებულობს არა ყოველი მომდევნო ელემენტი, არამედ მომდევნოს შემდგომი და იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა შექმნილიყო ქართული ანბანი სამი, ერთმანეთზე ორჯერ ნაკლები ზომის ელემენტებისგან, ეს პარალელი არ გამოდგება.

სავსებით ლოგიკურია, რომ გრაფიკული ნიშნები ანბანის შემოქმედს თავად შეექმნა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უფრო მწყობრ სისტემასთან გვაქნებოდა საქმე და თუ ეს ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებზე რვა საუკუნით ადრე მოხდა, არადამაჯერებლად გვეჩვენება, რომ ასოთა მოხაზულობებს უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განეცადა.

### სეატიმალურ შესაბამისობაზე დამშარებული თეორია

არსებობს სხვა თეორიებიც, რომელთა მიხედვითაც ქართული ანბანის შექმნა განსხვავებული პრინციპებით არის ნავარაუდევი. თამაზ ჩენენკელის ნაშრომებში „ანბანთა შექმნის ტრადიციული ცნობის შესახებ“ (24) და „ქართული ანბანი და მეფეთა ცხოვრება“ (23) ჩამოყალიბებულია ჩვენი დამწერლობის თავისთავადი, ორიგინალური წარმოშობის სხვაგვარი თეორია. მის მიხედვით „ქართლის ცხოვრებაში“ კოდირებულია მინიშნება ქართული ანბანის წარმოშობის საიდუმლოზე, საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ ასო-ნიშანთა „გრაფიკულ

რიცხვება და ამიტომ მოხაზულობასაც რიცხვული კვადრატები განსაზღვრავენ”(24.37).

ეს თვორია ბევრ პირობითობას ემყარება. ასეთია მაგალითად ფარნავაზის ცხოვრების ერთი მონაკვეთის გამოცალკევება დანარჩენი ტექსტიდან, მასში სიტყვების რაოდენობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება და ამ მონაკვეთში წინადაღებების გადაჯგუფება. საეჭვოა, რომ ფარნავაზის სახელის ნაცვალსახელით ნანაცვლებით ანბანის შემოქმედის ვინაობა იყოს გასაიდუმლობული და „ქართლის ცხოვრების“ მარიამსეულ რედაქციაში ფარნავაზისა და მისი ბიძის სახელებში გრაფემათა თანმიმდევრობის აღრევა კოდირებაზე მიმანიშნებელი იყოს. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი ერთი და ორი საუკუნით აღრინდელ წევაროებში - ანასეულსა და ჭალაშვილისეულში არ დასტურდება.

პირობითია აგრეთვე იზოფსეფიური ანალიზისათვის სახელების შერჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთი წყვილიდან ერთის - ფარნავაზის ბიძის სახელი ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მონაკვეთს გარეთაა დარჩენილი. საძიებელი მასალის კვლევა ერთ შემთხვევაში ერთ პარამეტრს ეყრდნობა, სხვაში კი - სხვას და მიების შედეგად მიღებული მონაცემებიც არ ატარებს სისტემურ ხასიათს. ორი სახელის იზოფსეფია თუ სეპტიმალურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, მესამე სახელი თავად წარმოადგენს ამგვარ ურთიერთმიმართებაში მყოფი რიცხვების ჯამს.

არაკანონზომიერად არის შერჩეული საიდუმლო კოდის მატარებელი ასოები. ზ (ლ) და 1 (ი) განსილულია იმიტომ, რომ აპოკალიპტურ მხეცთან დაკავშირებულ და ამავე დროს სეპტიმალურ შესაბამისობაში მყოფ ციფრებს - 7 და 10 აღნიშნავს, უ (ჟ) იმიტომ, რომ მისი რიგითი ნომერი 17 დასახელებული ორი რიცხვის ჯამს წარმოადგენს, ჸ (მ) კი რადგან მისი რიცხვითი მნიშვნელობა 13 თითქოსდა ასევე სეპტიმალურ შესაბამისობაშია პირველ ორ ციფრთან (თუმც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ასე არ არის). ასოთა ამგვარი არჩევანის განმამტკიცებლად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ ამ გრაფემათაგან თითოეულის მოხაზულობაში ფიგურირებს მსგავსი ელემენტი - ვერტიკალურ ბუნთან ზედა წერტილში მარცხნიდან მიერთებული პორიზონტალური ხაზი, მაგრამ ასეთივე აგებულების ასო ყ (ჟ) რატომდაც ნახსენებიც არ არის. მის წილ განსილულია განსხვავებული აგებულების გრაფემა 7 (ა), რომელიც, უნდა ითქვას, რომ ანბანის სათავეში მოექცა ბერძნულ რიგში პირველ აღგილზე მდგრმი შესაბამისი ბერძის აღმნიშვნელი გრაფემის გავლენით და არა „არმაზზე“ მისანიშნებლად.

მოხდა ისე, რომ სახელ „ფარნავაზის“ იზოფსეფია, ანუ შემადგენელი ასოების რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი იძლევა შვიდობითი სისტემის ერთ-ერთ ზღვრულ რიცხვს - 666. დასახელებული რიცხვი საინგერესოა იმ მხრივ, რომ იგი აპოკალიპტური მხეცის სახელს ემთხვევა, მაგრამ

ფარნავაზთან და ანბანთან ამ მოვლენას ნაკლებად უნდა პქონდეს კავშირი.

ფარნავაზი ისტორიული პიროვნებაა. იგი არა მარტო „ქართლის ცხოვრებაში“, „მოქცევაი ქართლისაიში“ და სომხურ წყაროებშიც მოიხსენიება. ამდენად მისი სახელი ლეონტი მროველის მიერ არ არის გამოგონილი და მემატიანეს არც მისი თავისუფალი ვარირება შეეძლო იზოფსეფიაში 666-ის მისაღებად. ამ მოვლენის ერთადერთი ლოგიკური ასესნა შემთხვევითობაა. იზოფსეფიაში ამ რიცხვის მიღება არც ისე მცირე ალბათობას ემყარება, რადგან იგი შეიძლება გამოვიდეს ასოების ათობით სხვადასხვა კომბინაციით.

არის თუ არა ფარნავაზის ბიძის სახელში შეფარებული 666-თან სეპტიმალურ შესაბამისობაში მყოფი რიცხვი 342? ეს სახელი ტექსტში სხვადასხვა ფორმით გვხვდება - „სამარ“ და „სამარა“. ნიშანდობლივია, რომ, რიცხვ 342-ს გვაძლევს მისი დაწერილობის მხოლოდ პირველი ვარიანტი. ამ სიტუაცის ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამს რომ რაიმე განსაკუთრებული აზრი პქონოდა, ტექსტში მკაცრად იქნებოდა დაცული მისი მართლწერის სიზუსტე, რაც ასე არ არის. დავუშვათ, რომ ორი სახელის იზოფსეფია ერთმანეთთან სეპტიმალურ შესაბამისობაშია, რა შინაარსი აქვს ამ ინფორმაციას? ფარნავაზის სახელთან ამგვარ მიმართებაში მისი სპარსული სახელი „არმაზი“ რომ აღმოჩენილიყო, გარკვეული ლოგიკა იარსებებდა, მაგრამ რას ნიშნავს, რომ მის სახელთან სეპტიმალურ შესაბამისობაშია ბიძის სახელი, რომელიც მისი დაბადებიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა?

მთავარი წინააღმდეგობა მაინც იმაშია, რომ ნაშრომის მიხედვით მთელი კოდირებული ინფორმაცია მიზნად ისახავს არა რაიმე კონკრეტული შინაარსის გაღმოცემას, არამედ იმაზე მინიშნებას, რომ ქართული ანბანის ასოთა მოხაზულობის გასაღები სეპტიმალური შესაბამისობის ცხრილშია.

რა არის ეს სეპტიმალური შესაბამისობა? ოდესდაც არსებულ შეიძლებით სისტემაში იყო ციფრები 0-დან 6-ის და არა 0-დან 9-ის ჩათვლით. ნიშნით 10 აღინიშნებოდა 6-ის მომდევნო ციფრი - 7, 11-ით - 8, 12-ით - 9, 13-ით - 10. ათობითი სისტემის მსგავსი დაწერილობის რიცხვებისაგან განსასხვავებლად მათ მათემატიკაში სხვაგვარად კითხულობენ: ერთი და ნული, ერთი და ერთი, ერთი და ორი და ერთი და სამი. 7-ის ჯერადები 14, 21, 28 და სხვანი კი აღინიშნებოდა 10-ის ჯერადებით - 20, 30, 40 და სხვ. ეს ჩვეულებრივი მათემატიკური კანონზომიერებაა.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ჩამოყალიბებული ნაშრომში „ქართული ანბანი და მეცეთა ცხოვრება“ სამ სვეტად განლაგებული ცხრარიცხვიანი სისტემები, რომლებიც ავტორს ქართული ასო-ნიშნების გრაფიკული აგებულების საიდუმლოს გასაღებად მიაჩნია:

7 – 10 – 13	17 – 23 – 32
8 – 11 – 14	18 – 24 – 33
9 – 12 – 15	19 – 25 – 34

პირველ სვეტში ჩამოწერილია ის სამი ციფრი, რომლებიც შეიძობით სისტემაში (სადაც მაქსიმალური ციფრი იყო 6) რეალურად არ არსებობდა. ესენია 7, 8, 9 და 17, 18, 19. მეორე სვეტში ჩამოწერილია, თუ როგორ იწერებოდა ამ ციფრების შესაბამისი ოდენობა შეიძობით სისტემაში - 10, 11, 12 და 23, 24, 25. ამ ორი სვეტის მონაცემთა შესაბამისობა ნაშრომში სწორად არის წარმოდგენილი, მაგრამ მესამე სვეტი მცდარ ნიადაგზეა აგებული. მეორე სვეტის ციფრები, რომლებიც შეიძობით სისტემას განასახოვნებს, მესამე მწერივთან მიმართებით განხილულია, როგორც ათობითი სისტემის რიცხვები და ხელახლა აქვს დაძებნილი სეპტიმალური შესატკვისები - 13, 14, 15 და 32, 33, 34. ასეთი რამ ისევე გაუმართლებელია, როგორც მაგალითად წელიწადის და თვეების რაოდენობრივი მიმართების განმარტებისას იმის თქმა, რომ 1 წელიწადი შეესაბამება 12 თვეს და შეესაბამება 144 თვეს.

ათობითი სისტემის ნებისმიერ რიცხვს შეესაბამება შეიძობითი სისტემის მხოლოდ ერთი რიცხვი. ამიტომ მათი შესაბამისობა ბუნებრივად ორ სვეტში უნდა მოთავსდეს:

ათობითი	შეიძობითი
7	10
8	11
9	12
10	13
11	14 და ასე შემდეგ

ათობითი და შეიძობითი სისტემის ციფრები 10, 11, 12 ერთი და იგივე სიდიდეები არ არის. ამრიგად სამსვეტიანი რიცხვული კვადრატების შედგენა არასწორ საფუძველს ემყარება და შესაბამისად ამ პრინციპით ქართული ასო-ნიშნების შექმნაც ლოგიკურ შინაარსს მოკლებულია.

### შუმერულთან მიმართება

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ სრულიად განსხვავებული განაცხადია გაკეთებული ზურაბ ქაფიანიძის წიგნში „ქაცობრიობის პირველი ანბანი შუმერულ-ქართული ასომთავრული“ (20). აქ განვითარებული შეხედულებით ქართული ანბანი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5604 წელს შეიქმნა და იგი მსოფლიოში პირველი დამწერლობაა.

შუმერულ თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი ცალკეული მოხაზულობების შესახებ ვერ ვიტავით, რომ ეს ქართული ასოები ი, ტ (დქ) და ქ (ხ) არის. ასომთავრული ი მარტივი გეომეტრიულო მოყვანილობისაა. მისი მსგავსი რკალი ბევრგან შეიძლება შეგვხვდეს,

მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ყველგან ასო ც (დ)-ს აღნიშნავდეს, თუ ამაზე მიმანიშნებელი რაიმე დამატებითი არგუმენტი არ იარსებებს.

ნიშანი ც რომელიც წიგნში ასომთავრულ გრაფემა † (ქ-დ არის სახელდებული, ჩვენი დამწერლობისათვის უცხოა. ქართულ ასონიშანთან მის გაიგივებას ავტორი თითქოს ამართლებს სიტყვა დედამიწის შუმერული და სვანური კლერადობის მსგავსებით, მაგრამ თუ წიგნის ბოლოში დართული შუმერულ-სვანური შესიტყვებების მიხედვით კიმსჯელებთ, (20.441) ამ ორ სიტყვას შორის მსგავსება არცთუ ისე დიდია. შუმერულ „ქი“ (გი) -ს შეესაბამება სვანური „გიმ“, მაგრამ ასო †-ს აღსანიშნავად ჩვენ „გი“ და „გიმ“ ფორმები არ გვარგია, „ქი“ კი მარტო შუმერულ შია და არა სვანურში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ როცა საქმე დვთაებას ეხება, შუმერულ ში იქნებოდა არა „ქი“, არამედ „ენქი“, ეს სხვაობა კიდევ უფრო იზრდება.

რაც შეეხება ასო ქ-ს, ასეთი მოყვანილობა წიგნში საილუსტრაციოდ მოხმობილ თიხის ფირფიტაზე არ შეინიშნება.

წიგნის ავტორი ქართულ ანბანს განიხილავს რიცხვით ფორმულებში. ის ცხრა რიცხვ-ნიშანს განათავსებს კვადრატის კუთხეებსა და გვერდების შუაწერტილებში, შემდეგ სვამს მათში ასოებს და აჯამებს იმ წერტილების რიცხვით მონაცემებს, რომლებსაც ასო ეხება. მნელი სათქმელია, რას გვაძლევს ამგვარი კვლევა, რატომ აქვს ამ წიგნში ასოებს ჭიქ (ფიქქ) დოკუმენტური წეროებისათვის უცხო მოხაზულობა, რატომ ემთხვევა ერთმანეთს ასოების 14 (იუ), 44 (კვ), სხ(ხს) ციფრული მონაცემები ან რა კავშირშია ეს ციფრები ქართულ ასო-ნიშნებთან.

წიგნის ავტორი ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გრაფემათა სახელებს, მაგ. „ან“, „ხარ“, მაგრამ ზოგან ყოველგვარი განმარტების გარეშე აძლევს გრაფემებს ახლებურ სახელებს: „პან“ (პან), „რა“ (რა), „ჯვარი“ (ჯან), „იიე“ (იე), „ქი“ (ქან).

წიგნში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული რიცხვ 15-ს, იმიტომ, რომ შუმერების დედამიწაზე პირველად სამოსვლის წლად მინეული 6504-ის, ქართული დასაბამითგანის 5604-ის შემადგენელი ციფრების, ქართული ასო ც (ა)-ს და არაბული 1-ის „ციფრული ფორმულების“ ჯამებიდან თითოეული გვაძლევის 15-ს (20.424). ავტორი არ ითვალისწინებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6504 და 5604 წლებში მცხოვრები ადამიანები წელთაღრიცხვას ასე კერ იანგარიშებდნენ და შესაბამისად ამ ციფრებთანაც კერ დაკავშირებდნენ. ასეც რომ არ ყოფილიყო, თუკი ისინი რიცხვ-ნიშნებად იმავე ანბანის ასოებს იუნებდნენ (20.8), მაშინ მათ მიერ ეს რიცხვები სამ-სამი ასო-რიცხვით ჩაიწერებოდა ქვებ და ბარ, იზოუსევფიების ჯამი კი ისევ 6504-სა და 5604-ს მოგვცემდა, იმიტომ რომ არსებული სისტემით ასეულები და ათასეულები ერთი და იგივე ციფრებით არ აღინიშნებოდა. რაც შეეხება 1-ის ციფრულ მონაცემებს, გაურკვევალი რჩება, რა კავშირშია იგი ქართულ ანბანთან.

საინტერესოა ასო-ნიშანთა ის ბადვე, ე.წ. „სრულყოფილი ბიქილა“, რომელსაც აგებს წიგნის ავტორი (20.92), მაგრამ ეს არ არის ოურქეთის სიძეელეთა მუზეუმში ფერად თიხაზე გამოსახული შუმერული სქემა (20.193), რომელშიც ქართული ანბანის მხოლოდ 8 კუთხოვანი გრაფემა თუ მოთავსდებოდა. ბიქილას წრიული ელემენტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვათავსოთ მასში დანარჩენი 27 ასო, წიგნის ავტორის მიერ არის დამატებული და არა 5600 წლის წინათ შექმნილი (20.193). „ბიქილა“ აგებულია ქართული გრაფემების შემადგენელი უკელა ელემენტის გათვალისწინებით, შემდეგ გავრცობილია კვადრატის ოთხსავე სექტორზე და ამდენად გასაკვირი არ არის, რომ მასში უკელა ასო თავსდებოდეს, მაგრამ რადგან უძველესი სქემა ასეთი არ არის და ამასთანავე მასში იყო ისეთი ელემენტი (შიდა კვადრატი), რომელიც არცერთი ქართული გრაფემის მოხაზულობისთვის არ არის საჭირო, ამ ნახაზისა და ქართული გრაფემების კავშირზე ლაპარაკი ზედმეტია.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის სახელის მოშველიებას ზემოსსენებული ხაზობრივი სისტემის მართვებულობის დასამტკიცებლად, ჯავახიშვილისეულ ფრაზაში, რომელიც ამ წიგნში რამდენჯერმე არის ციტირებული (20.83,129), საუბარია ასოთა „მოხაზულობაზე“ ანუ ფორმაზე და არავითარი მინიშნება არ არის „ხაზობრივ სისტემაზე“. ამდენად ვერც ის იქნებოდა თქმული: „თუ ანბანის ხაზობრივი სისტემა გაირკვა, მაშინ შეგვეძლება წარმომავლობაზე ვიღლაპარაკოთო“ (20.352).

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია შუმერების შესახებ, მაგრამ კვლევის მეთოდები, რომლითაც ავტორი ცდილობს დააკავშიროს ეს მასალა ქართული ანბანის წარმოშობასთან და განსაზღვროს მიხი შექმნის დრო, არამყარია. ის, რომ ქართულმა დამწერლობამ უქვენ ათასზე მეტ წელს იარსება, არავითარი ცვლილება არ განუცდია და არცერთი ძეგლი არ შემოუნახავს, დოკუმენტური მონაცემების გარეშე ძნელი დასაჯერებელია. ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან ქართველთა ნათესაობის შესაძლებლობას მეცნიერები მრავალი კუთხით იკვლევენ, მაგრამ ვერც ეთნოგრაფიული ვერც ლინგვისტური ან სხვა რომელიმე დარგის მასალები პალეოგრაფიულ დასკვნებს ვერ გაგვაკეთებინებს. ანბანის წარმოშობის დრო და საფუძველი უშუალოდ დამწერლობათმცოდნეობითმა მეცნიერულმა კვლევამ უნდა განსაზღვროს.

## პირველსახის რეკონსტრუქცია

კვლევის პრინციპი

ქართული ანბანის წარმომავლობის კვლევას უველა მეცნიერი აწარმოებს V საუკუნის ასომთავრულზე დაყრდნობით. მათგან, ვინც მიიჩნევს, რომ იგი ქრისტიანულ ეპოქაშია შექმნილი, მისი წინაისტრიით დაუინტერესებლობა გასაკვირი არ არის, მაგრამ იმ მეცნიერთა უმრავლესობაც, ვინც ქართული დამწერლობის სათავეებს რვა საუკუნით ან უფრო მეტით აღრე ვარაუდობს, არ ითვალისწინებს, რომ ესოდენ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ის მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ელენე მაჭავარიანი ვარაუდობს მხოლოდ რამდენომე გრაფემის ჩატანა (შექმჯ) სახეცვლილებას და ორი ასოს ჰ და დამატებას (10.55). რამაზ პატარიძის აზრითაც ტველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში შექმნილი ქართული ანბანი „ქრისტიანულმა საქართველომ... მემკვიდრეობით მიიღო იმ სახით, რა სახითაც არსებობდა იგი გვიან წარმართულ ხანაში“ და „არავითარი კვალი რეფორმისა ქართულ ასომთავრულ ანბანში არ არსებობს“ (14.266).

მათგან განსხვავებით, შექმნიდან მეტეთე საუკუნემდე ქართულ ანბანს მნიშვნელოვნად სახეშეცვლილად მიიჩნევდა ივანე ჯავახიშვილი. ამ დროისათვის იგი „განვითარების რამდენიმე, სულ ცოტა ორი დიდი საფეხურის გავლას“ მაინც ვარაუდობდა (31. 183). ამას გარდა მას ჰქონდა კიდევ ერთი უაღრესად საინტერესო მოსაზრება: „წინასწარ შესწავლილი და გათვალისწინებული უნდა იყოს ასოთა მოყვანილ-მოხაზულობის თანდათანი ცვალებადობის მიმართულება და ამ ცვლილებათა საერთო ხასიათი და მიდრეკილება. ასოთა მოხაზულობის ისტორიული განვითარების ამგვარი ცოდნა საშუალებას მოგვცემს წარმოვიდგინოთ, თუ რა გზით მიმდინარეობდა ასოთა მოხაზულობის ცვლილება და ამნაირად ცოტად თუ ბევრად განვჭკრიტოთ ის წინამავალი ცვალებადობის სახეობაც, რომლის ძეგლებრივი აღბეჭდულობის ნიმუშებს ჩვენამდის არ მოუღწევია“ (31. 202). ცალკეული ასო-ნიშნების გრაფიკული განვითარების ისტორია ჩვენს მეცნიერებაში შესწავლილია (9), მაგრამ ამ კუთხით ქართული ანბანის სისტემური კვლევა მისი პირველდელი სახის რეკონსტრუქციის მიზნით დღემდე არავის უწარმოებია. შესაძლოა წარმომავლობასთან დაკავშირებით აზრთა უსასრულო დიფერენციაციის და პრობლემის გადაუჭრელობის მთავარი მიზეზი სწორედ ის იყოს, რომ ჩვენამდე მოღწეული გრაფიკული ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველსახისგან, ჩვენ კი დასკვნებს სახეშეცვლილ სისტემაზე დაკვირვების შედეგად ვაკეთებთ. გადაკეთებული შენობის თავდაპირველ არქიტექტურაზე მანამ ვერ კიმსჯელებთ, სანამ მას გვიანდელი მინაშენებისგან არ გავათავისუფლებთ. აღბათ ასევე უნდა ვიკვლიოთ ანბანის აგებულებაც.

გიორგი წერეთლის აზრით პალეოგრაფიული კვლევისას საჭიროა გაიმიჯნოს „დამწერლობისათვის დამახასიათებელი პირველდელი ნიშნები

და მერმე განვითარებული ან გვიან შემოტანილი უცხო ელემენტები და ამ გზით განისაზღვროს შედარებითი ქრონოლოგია, როგორც ამას ენათა განვითარების ისტორიის კვლევისას აქვს აღილი" (26.50). ჩვენი მიზანია დადუქციის გამოყენებით არსებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე და ქართული ანბანის განვითარების ზოგად სურათზე სისტემური დაკვირვება, რათა განვსაზღვროთ, რა ცვლილებები შეიძლებოდა განეცადა ქართულ დამწერლობას შექმნიდან V საუკუნემდე.

თუ ქართული ანბანი ამ პერიოდამდე დამოუკიდებლად, სხვა დამწერლობების გავლენის გარეშე იარსებებდა, მაშინ მის განვითარებას ცალმხრივი, ევოლუციური ხასიათი ექნებოდა, მაგრამ თუ რომელიმე ეტაპზე მოხდებოდა სხვა ანბანური სისტემის ძლიერი ჩარევა, კოქვათ რეფორმა მის მიხედვით, მაშინ დამწერლობის განვითარება სრულიად შეიცვლიდა მიმართულებას, ახალ ჩარჩოებში მოქცეული, იგი იძრძოლებდა საწყისი ფორმების აღსადგენადაც. V საუკუნის ქართული ასომთავრული იმდენად მოწესრიგებული აგებულების სისტემაა, რომ წარმოუდგენელია გრაფებს ასეთი სახე საუკუნეთა განმავლობაში თავისეთავად, ზოგადი რეფორმის გარეშე მიეღო. საილუსტრაციოდ დავაკვირდეთ ბერძნული ანბანის განვითარებას ძვ. წ. 403 წლის რეფორმამდე (2.88). ნიშანდობლივია ისიც, რომ ფორმის გეომეტრიული დახვეწის და მოწესრიგებულობის გარდა უძველეს ძეგლებშივე შეიმჩნევა დაწერილობათა კანონზომიერი ვარიანტულობაც.

როცა ერთი დამწერლობა მეორის თანდათანობითი განვითარების შედეგია ან მის საფუძველზეა შექმნილი, ლოგიკურია, რომ ორ სისტემას შორის მსგავსება შენარჩუნდეს შესაბამისი ბგერების აღმნიშვნელი ელემენტების დონეზე. ასეთი მსგავსება, როგორც ვნახეთ, არცერთ სხვა ანბანურ სისტემასთან არ დადასტურდა. მაგრამ თუ მოხდებოდა რეფორმა რომელიმე სხვა დამწერლობის მიხედვით, მსგავსება მასა და ქართულს შორის გამოვლინდებოდა ზოგადსისტემური თავისებურებების და არა ელემენტების დონეზე. ქართულ ასომთავრულს სწორედ ასეთი მიმართება აქვს ბერძნულობან.

უძველეს ქართულ ასომთავრულ წარწერებს ახასიათებს ბერძნულის მსგავსი: 1. ასოთა თანაბრობა სიმაღლეში, 2. გრაფებათა გეომეტრიული სიმრგვალე და სწორხაზოვნება-კუთხოვანება 3. წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, 4. ანბანის რიგი და გრაფებათა რიცხვითი მნიშვნელობა. ამას გარდა ბერძნულიდან უნდა იყოს გადმოდებული ასო Qd (უ)-ს შედგენა ორი გრაფიკული ნიშნის კომპლექსით. ზემოთჩამოთვლილი თავისებურებები ქართულ ანბანს განვითარების გვიანდელ ეტაპზეც შეეძლო შეეძინა. ამაზე მიგვანიშნებს ივანე ჯავახიშვილი (31.151). ქართული დამწერლობის წარმოშობის სათავის და მისი პირველსახის მისაკვლევად ჩვენამდე მოღწეულ ანბანს ბერძნული გავლენის კვალი უნდა ჩამოვაშოროთ.

მსგავსი თვისებების მოძიების საფუძველზე ჩვენ გამოვყავით, რა შეიძლებოდა შეეთვისებინა მანამდე არსებულ ქართულ დამწერლობას ბერძნულისაგან, მაგრამ იმის გასარკვევად, თუ როგორი იყო იგი ამ გავლენამდე, კვლევა სრულიად საპირისპირო მიმართულებით უნდა წარვმართოთ - უნდა ვეძოოთ ამ ორ სისტემას შორის არსებული არა მსგავსება, არამედ განსხვავება. პირველადი და ორიგინალური იქნება ის თვისებები, რომლებიც გავლენის შედეგად არ აღმოჩნდება მიღებული. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა უფრო დეტალურად დავაკვირდეთ ამ ორი ანბანის გრაფემათა ფორმებს. შესადარებლად ავიდოთ ბერძნულის კლასიკური და ქართული ასომთავრულის ადრეული ძეგლები, რადგან ხსენებული მსგავსება სწორედ მათ შორის შეინიშნება.

ვიდრე კვლევას შევუდგებოდეთ, გვინდა გავარკვიოთ, გრაფემათა თავდაპირველი რაოდენობა. აქ გარკვეული ეჭვი არსებობს ასო-ნიშან 7 (ჸ)-სთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიზიარებთ ივანე ჯავახიშვილის აზრს. იგი წერს: „...დაუჯერებელია, რომ თავდაპირველს ქართველთა მიერ შემოღებულ ანბანს, მაშინაც, როდესაც ჯერ კიდევ დანართი ასოები არ იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ბერის, როგორიცაა „„“, განსაკუთრებული ნიშანი არ ჰქონდა...“ (31. 199). ვერ ვიტუვით, რომ ეს აზრი მეცნიერმა ხანმეტი ტექსტების აღმოჩნდე გამოთქვა, რადგან მისი წერილი - „ახლად აღმოჩნილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ 1923 წელს დაიბუჭდა, წიგნი „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ კი ორი-სამი წლის შემდეგ. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა „უძველეს ტექსტებში მე-2 პირის სუბიექტურ და მე-3 პირის ობიექტურ თავსართებში ასო ქ არის და არა 7, მაინც იმ აზრისა იყო, რომ ბერი „„“ და მისი შესაბამისი გრაფემა ენაში უძველეს ხანაშიც არსებობდა.

ხანმეტობა ქართული ენის სამეტყველო სისტემაში ჰაეს არსებობას არ გამორიცხავს. ეს ასო ანბანის ბოლოში იმიტომ აღმოჩნდებოდა, რომ ქართული ასო-ნიშნების ბერძნულ რიგზე დალაგების დროს [h] ფონემა ბერძნულში აღარ არსებობდა და იგი, როგორც ჩვენი ენისთვის სპეციფიკური ბერების აღმნიშვნელი სხვა ასოები, ანბანის დამატებით ნაწილში მოთავსდა.

რაც შეეხება ანბანის 37-ე ნიშანს – ძ (ჸ), რომელიც გამოხატავს ფონემათა კომპლექსს, იგი სიტყვათა დაწერილობაში არ მონაწილეობდა და მხოლოდ შორისღებულად იხმარებოდა (22.480). მეცნიერთა აზრით, იგი გვიან უნდა იყოს დამატებული (2.152; 31.226). ამ ნიშნის მთავარი ფუნქცია უფრო რიცხვით მნიშვნელობას უკავშირდება და საფიქრებელია, რომ ძ ქართული ანბანის ბოლოში მის ბერძნულ რიგზე დალაგების შემდეგ მოხვედრილიყო, როცა კველა ასოს გარკვეული რიცხვითი მნიშვნელობა მიენიჭა. ძ-ს შემოტანით რაოდენობის შესაძლებელი აღნიშვნა ორჯერ გაიზარდა 9999-დან 19999-დან. ქართული ანბანის

განვითარების საწყის ეტაპზე მასში მხოლოდ ის 36 ასო-ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ენაში არსებულ ცალკეულ ბგერებს აღნიშნავდა.

**მიზანების რჩალური ფორმის აღდგენისა და  
სიგადლეში დივერგენციალისკენ**

ბერძნულ ში ხაზოვანი ან ხაზოვან-კუთხოვანი 17 გრაფემაა:  
**ΑΓΔΕΖΗΙΚΛΜΝΧΠΣΤΥΞ** ქართულ ში ასეთი 10-ია **ლურჯისტყა** (გვეტჩიქენჯ).  
 რადგან ჩვენთან ეს მოყვანილობა ბერძნულთან შედარებით ნაკლებად  
 მედავნდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულისათვის იგი  
 არაორიგინალურია და ასომთავრულ დამწერლობად მიხი გარდაქმნის  
 შედეგად შეიძლება იყოს შეთვისებული.

ბერძნულში ხაზოვან-წრიული და წრიული 5 გრაფემაა: ВОФӨР ქართულში კი ასეთი 17-ია ԳԾՆԸՆՔՕՎԲՓԿՍԲ (ბეზთკლმოუზეუფეშმწე). ჩანს, რომ ეს ფორმა ორივესთვის ახლობელია.

რკალური ან ხაზოვან-რკალური ბერძნულში ორი ასოა - Psi  
ქართულში კი - 9 ცხრასიცა (ანდარხელც). ამ ჯგუფში იმდენად  
ჭარბობს ქართული ბერძნულს, რომ ეს ფორმა მისთვის უფრო  
დამახასიათებლად უნდა ჩავთვალოთ.

წვენს ხელთ არსებული ძეგლების საფუძველზე ქართული ანბანის განვითარების კვლევამ გამოავლინა მკეთრი ტენდენცია წრიული და კუთხოვანი ფორმების რკალურით შეცვლისკენ, რაც კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ ეს მოყვანილობა წვენს დამწერლობას აღრევე ახასიათებდა და რეფორმის დროს იქნა ჩანაცვლებული სხვა ფორმებით.

არცერთი მნიშვნელოვანი ცვლილება დამწერლობაში ერთბაშად არ ხორციელდება. ახლის გვერდით თანაარსებობს ხოლმე პარალელური, ძველი ფორმები. იკ. ჯავახიშვილი წერს: „...ახორთა ახალი მოხაზულობის გაჩენასთან ერთად ძველი მაშინვე არ ისპობოდა, არამედ ორივე მოხაზულობა ხშირად კარგა ხანს ერთხა და იმავე დროს სუფევდა ხოლმე იმგვარადვე, როგორც ახალი მოხაზულობის საბოლოო გამარჯვების შემდგომაც მიურუბებულ კუთხეებში და კონსერვატულ წრეებში შეიძლება ისევ ძველივე მოხაზულობის ასოები ეხმარათ“ (31.184).

შესაძლოა სწორედ ამით აიხსნას ჩვენამდე მოღწეულ უმცველეს ხელნაწერებშივე დადასტურებული მნიშვნელოვანი მოვლენა – თავშეკრული და რკალური ფორმების ვარიანტულობა. ხშირად ერთმანეთის გვერდით გვხვდება ორივე მოყვანილობა - წრიულიც და რკალურიც „V – VIII საუკუნეები ქართულ დამწერლობაში „გარდამავალი ხანაა“ – ამ პერიოდში პალეოგრაფიული განვითარება ასოთა მოხაზულობაში ძირითადად მიმართულია შეკრული ფორმების გახსნისკენ“ (21.139). ეს პროცესი ბერძნულის გავლენით ვერ მოხდებოდა, რადგან თვით ბერძნულ ში რკალური ფორმის მხოლოდ ორი გრაფემაა. იმავე მოვლენას ვერც წერის ზოგადი კანონზომიერებით ავსხით, რადგან მსგავსი რამ ასეთი მასშტაბზე სახით სხვა დამწერლობებს არ განუცდია. ამის მიზეზი უფრო ადრინდელ და

რეფორმის შედეგად დამკვიდრებულ ფორმათა შორის ჭიდილი უნდა იყოს. შესაძლოა წარწერების შემსრულებელთა მეხსიერებაში შემორჩენილი იყო ძევლ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე ნანახი მოხაზულობები, მაგრამ შესაძლოა ეს ცვლილებები გაუცნობიერებლადაც ხდებოდა ანბანის განვითარების ზოგადი ტენდენციის მიხედვით ანუ იცოდნენ, რომ ორიგინალური დამწერლობისთვის რკალური მოყვანილობა იყო დამახასიათებელი და ცალკეული გრაფემების ფორმათა რეკონსტრუქციას თავად ახორციელებდნენ.

ქართული ანბანის ხაზოვან-წრიული მოხაზულობის გრაფემათაგან V-VIII საუკუნეებში აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოავლინა მიღრეკილება გახსნისაკენ და წრიული ფორმა რკალურით შეეცვალა. 18 გრაფემიდან აქა-იქ გაიხსნა 14 კუსულის ყველა (ბდზთლოჟეფუშვილი). ხსენებული მოვლენა არაერთ წარწერასა და ხელნაწერშია დაფიქსირებული, ამდენად ეს არის არა ვარაუდი, არამედ ფაქტი, რომელსაც კვლევისას ანგარიში უნდა გაეწიოს. თან ნიშანდობლივია, რომ ამ ცვლილებებს მკვეთრი ზღვარი არა აქვს - ზოგ ადრეულ წარწერაში თავგახსნილი ასო შემდეგ ისევ წრიულია, ზოგან კი პარალელური ფორმები უხვად არის ერთსა და იმავე დოკუმენტურ წყაროში. გაუხსნელი დარჩა მხოლოდ 4 ასო ჰშრ (კმტ), მაგრამ მათგან სამში 4 ასო ჰშრ წარწერაში იკვეთება ნახევრად გაუხსნელი, მომრგვალებული ფორმა - (6.71, 97, 103, 125, 128; 31.ტაბ.5.XIII.XVII).

თვალი მივადევნოთ გრაფემათა გახსნის პროცესს:

¶ - კ (ბ) დმანისის ჯვრის კვარცხლბეკის V-VI ს. მოხახენიუბელში ორჯერ არის და ორივეგან გახსნილია (6,93). ასეთივე სახითაა მცხეთის ჯვრის VI-VII ს. წარწერაში (6,103, 124, 128).

Ծ - Ծ (დ) კიანეთის სამების ეკლესიის სტელა-ჯვრის VIII ს. წარწერაში სამჯერ არის გამოყენებული და სამივეგან გახსნილია (6,255) (იხ. აგრეთვე 6,158; 31.ტაბ.5.IX)

ზ - ზ (გ) VII ს. ხანძეტ ლექციონარში (I. X). უსანეთის სტელაზე VIII ს. (6,127)

ტ - ტ (თ) VII ს. ხანძეტ ლექციონარში. IX ს. წრომის ეკლესიის სტელა-ჯვარზე ხუთგან გვხვდება ზემოთ გახსნილი (6,132) ასევე სამბზის იქვე ხელოსანთა წარწერაში (6,133).

ზ - ზ (ლ) პანტიანის ეკლესიის VII ს.-ის მეორე ნახევრის მოხახენებელში ერემიასი და ფალავოჭისა (6,100) აგრეთვე VIII ს. წარწერებში (6,125, 126, 128).

ი - ი (ო) VI-VII საუკუნის ქართულ პალიმფსესტში (I.18, 19); ხანძეტ ლექციონარში (I. X).

ყ - ყ (ე) ატენის ოოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ვეჟან მამახახლისის მოხახენებელში VIII ს. (6,107)

დ - დ (ჟ) დემეტრე კაბატოსის VI ს. მოხახენებელში (6,164); კავთისხევში გრიგოლ ვიპატოსის VII ს. მოხახენებელში (6,120);

ს - (b) თავგახსნილია ბოლნისის ხიონის V საუკუნის მიწურულის (1.7) და უძველეს წარწერათა უმრავლესობაში, მაგრამ გვხვდება წრიული ფორმითაც. ურბნისის ხიონის V ს. პირველი ნახევრის საამშენებლო წარწერაში იგი ორგან არის და ორივეგან მკვეთრად თავშეკრულია. ასევე იქვე - X საუკუნის თევდორე ეპისკოპოსის წარწერაში (6,63, 6,197). ამრიგად იყო ტენდენცია ასო ს-ს შეკვრისაც.

Φ (ფ) VII ს. ხანმეტ ლექციონარში მოლიანად გახსნილია - Φ VII ს. წყისებ ციხის ჯვრის კვარცხლბეჭის წარწერასა (6,99) და სინურ მრავალთავში (I.ტაბ. II-12) - ნახევრად გახსნილი - Φ.

გ - ყ (გ) VII ს ხანმეტ ლექციონარში (I. X ).

8 - (გ) ურბნისის ხიონის V ს. პირველი ნახევრის საამშენებლო წარწერაში გვხვდება ორმხრივ შეკრული 8 ფორმა; ბოლნისის ხიონის მე-5 ს-ის წარწერაში ხუთჯერ გვხვდება და ქვედა ნაწილი ყველგან გახსნილია - გ (6,66); მცხეთის ჯვრის VI საუკუნის წარწერაში გვხვდება ასეთიც და ორმხრივ გახსნილი 9 ფორმებიც (6,160). იქვე ქობულისა და თემებისა მოსახსენიებლებშიც (6,165,166).

β (ვ) ურბნისის ხიონის V ს. პირველი ნახევრის საამშენებლო წარწერაში ორმხრივ თავშეკრულია - β ; ქვედა მხარე გახსნილი აქვს V საუკუნეშივე ბოლნისის ხიონის დავით ეპისკოპოსის წარწერაში ჩ (1,494); VII ს. ხანმეტ ლექციონარში (I.ტაბ.10) და უსანეთის გორაზე VIII ს. წარწერაში (6,125) მოლიანად გახსნილია ჩ.

δ - (ჭ) VII ს. პანტიანის მოსახსენებელში 5 (6,100).

ამრიგად, არსებული მონაცემებით, ს. ჭ, ყ, ჩ (სტმ) ასოების გახსნა ინტენსიურად V საუკუნეშივე დაიწყო და თავგახსნილი ფორმები თანაბრად თანაარსებობდა თავშეკრულის გვერდით, ზოგ შემთხვევაში კი სისმირით ბევრადაც ჭარბობდა მათ. ტ, ს, წ, ი, ღ, ყ, დ (თხლოუფყქ) აქა-იქ VI-VII ს. გაიხსნა, რ და ყ კი, VIII საუკუნეში. აღბათ ჭართული დამწერლობის ხამსახურების ერთ-ერთი ხაფუძველი სწორედ თავშეკრული ასოების გახსნაა, მიზეზი კი ჩვენი ვარაუდით არსებული დამწერლობის სხვა ანბანის მიხედვით ტრანსფორმირების გამო ახალ და ძველ ფორმათა ჭიდილი.

განვიხილოთ ამავე თვალსაზრისით კუთხოვანი ასოები. ათი გრაფემიდან: ლილიანტა უმრავლესობა აქა-იქ VI - VII საუკუნის ძეგლებშივე გვხვდება რკალური ფორმით: ლილიანტ

τ - τ (გ) VI - VII საუკუნის ხანმეტ პალიმფსესტებში (I.18,19; 31.ტაბ.5, IV,VII)

τ - τ (გ) VI - VII საუკუნის ხანმეტ პალიმფსესტებში (I.18,19); და კიდევ უფრო მომრგვალებულად VI საუკუნის ჯვრის წარწერაზე (6,162).

ზ - ზ (გ) ხანმეტ პალიმფსესტებში (I.18,19); დავით გარეჯის მე-7 ს. მოსახსენებელში (6,100,115,137).

ჩ - ჩ (ც) პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის VI საუკუნის წარწერაში (1.11); ჯვრის VI საუკუნის თემესტიას მოსახხენებელში (6,166, 6, 150).

1(ი) უსანეთის გორაზე მთავარანგელოზის წარწერაში გვხვდება ზედა მარჯვენა ნაწილში მომრგვალებული 1 ფორმა. მთლიანად რკალურია მხედრულის პირველსავე ნიმუშებში 2 (31.ტაბ.5, XVII-XX).

ჩ - ჩ (გ) VIII საუკუნის მოსახხენებელში ჩორახისა (6,103,118)

ც - ც (ბ) V საუკუნის ბოლნისის წარწერაში (6,69).

ყ - ყ (ჟ) V-VI საუკუნის ბოლნისის „ლამაზი გორის“ ჯვრის მოსახხენებელში (6,84).

რკალური და კუთხოვანი ფორმების ურთიერთხანაცვლება ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება დანარჩენ რკალურ გრაფემებთან მიმართებითაც. მაგალითად ჩარი (ნაღმ) ჩ ი უ (6, 75,99,100,103,168...).

ასო + როგორც მაცხოვრის – ისო ქრისტეს ინიციალი, ჩვენი აზრით ამ ფორმით ქრისტიანულ ხანაში უნდა იყოს ჩამონაკვთილი და მას პირველსახესთან არავითარი კავშირი აღარ უნდა ჰქონდეს. ამიტომ მისი განვითარების პროცესს ეტაპობრივად არ შევეხებით. ვფიქრობთ, რომ ქრისტიანულ ეპოქაში ჯვრის ფორმასთან მიმსგავსების გამო მომრგვალება არ განუცდია ასო ჯ(ჯ)-საც.

როგორც ვხედავთ, ორსავე სისტემურ ცვლილებას რკალური ფორმის აღდგენისაკენ მივყავართ. ამრიგად ჩვენი ვარაუდის მიხედვით ქართულ ანბანს განვითარების რაღაც ეტაპზე შესაძლოა ასეთი სახე ჰქონდა:

## ცულარისაუმარისულის სტატუსი

კუთხოვანი ფორმა რომ შეძენილია და ანბანის შექმნის ქამს ფუნქციონალური დატვირთვა არ ჰქონდა, ამას ისიც მოწმობს, რომ არცერთი წევილი ასო არა გვაქვს ასომთავრულში ერთმანეთისაგან მხოლოდ კუთხოვანება-რკალურობით რომ განირჩეოდნენ. ბერძნულის მახვილკუთხოვანი ფორმებიც ჩვენს ანბანში აღბათ იმიტომ არ დამკვიდრდა, რომ რკალური ფორმა უფრო მიღრეცილი იქნებოდა ორმხრივ მართკუთხოვან ი ფორმად გადაქცევისაკენ.

კვლევა გვიჩვენებს, რომ რკალური ფორმა წრიულსა და კუთხოვან ჩამონაკვთილობაზე უფრო აღრეული უნდა იყოს. 8 გრაფემა – ცნუსაიც (ანდარდც) ასომთავრულის აღრეულ ძეგლებშივე ძირითადად რკალური ფორმით გვხვდება. მოგვიანებით თავს იჩენს ტენდენცია 14 წრიულ და 8 კუთხოვან ასო-ნიშანში რკალური ფორმის აღდგენისა და 3 თავშეკრულ გრაფემაშიც ჰაჭ (კმდ) ნაწილობრივ იკვეთება რკალური მოსაზულობა. როგორც ვხედავთ, რკალური ფორმის პირველადობა თითქმის აშკარაა.

დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ აღებულ გეზს და ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასოების სიმაღლეში გათანაბრება. შეიმჩნევა თუ არა ფორმათა ჭიდილი ამ მხრივაც.

ქართული ასომთავრული კაპიტალური დამწერლობაა. ასოთა სიმაღლეში თანაბრობა მისი არსებითი პრინციპია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცალკეულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მაინც შეიმჩნევა გრაფემების სიმაღლეში დიფერენციაცია. საბოლოოდ კი პირველ სახისკენ შებრუნებით განპირობებული უნდა იყოს დამწერლობის ახალი სახეების – ნუსხურისა და მხედრულის განენა. მართალია, ნუსხურში მრგვალი დუქტუსი, ალბათ ისევ ბერძნულის გავლენით, მოლიანად ეუთხოვანით შეიცვალა და იერი სხვაგვარი მიეცა, მაგრამ ასოთა არათანაბარი სიმაღლე და მათი თავგახსნილობა მასში შენარჩუნებულია.

ნუსხურში მოხდა ასოების **ცაზიანი** (ათილოპლა) სრული დადაბლება — **ჭარუაშაშუმი**. გრაფემები ჰატი (ტექქ) მთელ სიგრძეზე განეფინა – **წესებისი**, რსეჭასი (დამნრსი) – შეაში და ზემოთ – **წესებისისი**, ხოლო დანარჩენები: **ყურადღისცემული** (ბგავებულცვალება) – შეა და ქვედა ნაწილში – **ყურადღისცემულისი** (31.ტაბ.5; 1,83; 1,85; 1,87).

გრაფემები **ჭარუაშაშუმი** (ადთოოპლა), როგორც ჩანს, უნდა ამაღლებულიყო რკალური ნაწილის პროპორციული გაზრდით – ცაზიანი. ასო-ნიშნებმა ჸაზი (ბგლა) ნუსხურში, ზოგ შემთხვევაში კი ასომთავრულ შივე (6.128, 153), მოლიანად დაკარგა ვერტიკალური ხაზი – **ყურადღისცემული**. შესაძლოა, არც თავდაპირველად ჰქონდა. გრაფემათა უმრავლესობაში კი ასომთავრულის ვერტიკალური ხაზი დარჩა და დაიხარა: **რთესრუასცემულისი** – **უზრუნველყოფისისი** – **უზრუნველყოფისისი** (ევზონერსტეფენშტენ).

გრაფემებში ჟე (იმე) ჯერ კიდევ ასომთავრულ წარწერებში რკალისა და ვერტიკალის მონაცელებია **¶** & ბ გვაფიქრებინებს, რომ ასო-ნიშანთა ამაღლება რკალის გამართვითაც შეიძლებოდა მომხდარიყო. გრაფემის პროპორციული შემცირების გარდა ნუსხურში მეტწილად მარცხენა ნაწილის დადაბლება ხდებოდა. სავარაუდოა, რომ რეფორმის დროს მომხდარიყო ასო-ნიშანთა სწორედ ამ – მარცხენა ნაწილის ამაღლება, რაც ბუნებრივი იქნებოდა მარცხნივ და ზემოდან ქვემოთ მიმართული წერისთვის.

გამოიკვეთა ამაღლების რამდენიმე პრინციპი: ვერტიკალური ხაზის დაგრძელება ან დამატება, რკალური ფორმის გამართვა ან პროპორციული გაზრდა. ეს ყოველივე სრულიად ლოგიკურია. ამდენად ასომთავრული შეიძლება მიღებული იყოს ადრეული ქართული დამწერლობის რეფორმირების გზით. ცვლილებები სავარაუდოდ უნდა წარმართულიყო ორი ასპექტით, ესენია: I. რკალური ფორმების თავშეკვრა ან გაკუთხოვანება

## და 2. უკელა გრაფემის გათანაბრება სიმაღლეში.

ბრაზების საპარაულო აღრული მოსაზღვრებანი

რეფორმისშემდგომ პერიოდში როგორც წრიული ფორმების გახსნის, ისე კუთხოვანების მომრგვალების და ამაღლებულების დადაბლების დროს, უკელაფერი საწყისი ფორმით, რა თქმა უნდა ვერ აღდგებოდა, რადგან ორიგინალურ ქართულ ანბანს რეფორმირებულის გვერდით დამტკიდებლადაც რომ ვარსება, საუკუნეების მანძილზე გარკვეული გავლენის ქვეშ მაინც მოვქმეოდა. ამიტომ ჩვენ ცალ-ცალკე უნდა შევისწავლოთ თითოეული გრაფემის განვითარების ისტორია და ვემორი მისი თავდაპირველი სახე. დავიწყოთ იმ გრაფემებით, რომლებმაც მოხაზულობის მხრივ უკელაზე ნაკლები ცვლილებები განიცადა.

ასო 1 (დ) ძირითადად რკალურია. ნუსხურში მისი დადაბლება პროპორციულად მოხდა, ამიტომ სავარაუდოა, რომ იმთავითვე ქვემოთ გახსნილი რკალის ფორმა პქონოდა – ც.

იგივე შეიძლება ითქვას ასოებზე 2 (ა) და 3 (პ). ისინიც ძალიან იშვიათად გვხვდება კუთხოვანი ფორმით და დადაბლებისას არც მათ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება – პროპორციულად დადაბლდა. ვფიქრობთ, რომ ამ გრაფემებს იმთავითვე ასეთი სახე ექნებოდა 2 (ა) და – პ.

3 (დ) არაერთგან გვხვდება როგორც მარცხნივ გახსნილი რკალით, ისე პროპორციულად დადაბლებული (6. 158,214,255,272,315; 31.გაბ.5,IX,X) – ც.

4 (უ)-ში არსებითი ცვლილებები გახსნის შემდეგ არ მომხდარა. რკალი ვერტიკალს შუა ნაწილში უერთდება. ვფიქრობთ, რომ მას თავდაპირველადაც 4 ფორმა ექნებოდა.

5 (ს) ადრეულ წყაროებში გვხვდება როგორც კუთხოვანი, ისე რკალური – 5 ფორმით. სხვა მხრივ მოყვანილობა სტაბილური და მკვეთრად გეომეტრიული აქვს. ვფიქრობთ, რომ მას იმთავითვე ფორმა 5 უნდა პქონოდა და ვერტიკალური ხაზის დაგრძელებით ამაღლებულიყო ს.

ასო 1 (ი)-ს 1 და 2 ფორმები (6,128; 2.გაბ.5, XX,XXVI) მიგვანიშნებს, რომ ეს გრაფემა მარცხნივ გახსნილი რკალის ქვედა ნაწილის გასწორხაზონების გზით შეიძლება იყოს მიღებული. უკელა სხვა კუთხოვანი ასოსაგან განსხვავებით მის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ვარიანტებში შემორჩენილია მხოლოდ ერთი კუთხე 1 და შესაძლოა ამიტომაც გართულდა გრაფემის ძველი ფორმის ადგენია. მარცხნივ გახსნილ რკალს წესით 2 ფორმა უნდა მიეღო, მაგრამ მარჯვნიდან მარცხნივ წამოზრდილი ქვედა პორიზონტალი, თავდაპირველად კიდეც რომ ყოფილიყო, წერის მიმართულების გამო რელუცირდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხედრულში მან იმთავითვე სტაბილურად გამოკვეთილი რკალური 2 ფორმა მიიღო.

მოხდა ისე, რომ მომრგვალების შემდეგ 1 (o) ძალიან დაემსიგავსა ასო 2 (a)-ს, რომელიც არაერთ წარწერაში ასევე კ სახით იწერებოდა. ის. მაგ. წირქოლის ეკლესიის წარწერა (6,222). მაგრამ ამ უკანასკნელში თავიდან მყარი იყო ქვედა ნაწილი, ზედა უფრო იცვლებოდა **კ კ პ ს**. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ანბანის შექმნის დროს იგი ზემოთ გახსნილი რკალური ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი - უ. 2 (a)-ს იმთავითვე კ ფორმა რომ პქონოდა, რკალის ქვედა ნაწილი მარცხნივ აღარ განვითარდებოდა მარჯვნივ მიმართული წერის ზოგადი კანონზომიერების გამო.

თუმც მოხაზულობის მხრივ ქართული იოტა არ წარმოადგენს რომელიმე დამწერლობაში ამ ბგერის აღმნიშვნელი ნიშნის გრაფიკული განვითარების შედეგს, გრაფემის სახელად „იოტა“ ორიგინალური ქართული წარმოშობისა არ არის. იგი იყო ძველ სემიტურშიც (2.42) და ბერძნულშიც (2.70). საფიქრებელია, რომ მათი გავლენით რაღაც ეტაპზე დაუკავშირდა ქართულ ასო-ნიშანსაც და მოხაზულობის უკიდურესი სიდაბლისა და სტრუქტურული სიმარტივის გამო ენაში ზოგადი მნიშვნელობის სიტყვადაც დამკვიდრდა „უმცირესის“ აღსანიშნად.

აკურეთის ეკლესიის V საუკუნის ფრაგმენტში სიტყვაში „შეიწყალე“ მესამე ადგილას ზოს მარცხნივ გახსნილი რკალური ფორმის გრაფემა ც. მეცნიერთა მიერ ამოკითხულია „შეიწყალე“ (6.128), მაგრამ ეს ლექსიკური ერთეული ასეთი ფორმით არ იხმარებოდა (27.20) და 2 (a)-ს ადგილას უნდა იყოს 1(o). მსგავს შემთხვევებთან გვაქვს საქმე კველის ციხის სტელა-ჯვრის და ატენის სიონის წარწერებში (135.220). ერთგან დაქარაგმებულ სიტყვაში „ჯუარი“ – ჯ ასეთივე, მარცხნივ გახსნილი რკალი გვხვდება და ამოკითხულია, როგორც „ა“. აქაც სიტყვის მართლწერით 1 არის სავარაუდო და არა 2. მეორევან 2 გვხვდება სიტყვაში „მიქაელი“, ბოლო გრაფემად. ასევე არის სიტყვაში „ხელისუფალი“ (6.141). მართალია, „ი“ და „ა“ ბგერების ხმარება ძველ ქართულში რაღაც ეტაპზე აღრეული იყო, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ აქ გაუგებრობა ც ფორმამ გამოიწვია, რომელიც სხვადასხვა დროს ჯერ ერთ და შემდეგ მეორე ბგერას აღნიშნავდა.

ასო ს-ში ამაღლება შეიძლებოდა მომხდარიყო მარცხენა ნაწილის აწევით ან რკალის გამართვით. პირველ შემთხვევაში ის ასო 2-ს საწყის ფორმა უ-ს დაემთხვეოდა, რაც გამორიცხულია. ვფიქრობთ, შესაძლოა მას რკალური ც ფორმა პქონოდა და გასწორხაზონების პროცესში გამართულიყო. არაერთ წარწერაში დასტურდება ამ ასოს მარჯვნივ გადახსრილი გამოსახულება ც (2, ტაბ.5, XIII, XVI, XIX).

უცნაური დაბოლოება აქვს ასო ც (ც)-ს. მიხი მარჯვენა ქვედა დამატებითი ხაზი ხან დახრილი და ხან კერტიკალურია **ც ც ც**. აშკარაა, რომ პირველსახილან არის შემორჩენილი, მაგრამ რეფორმას კარგად ვერ მორგებია. მრგლოვანის ზოგიერთი დოკუმენტი და ნუსხეურის პირველივე ნიმუშები (6,107,203; 2.ტაბ.5,VII,X) გვაფიქრებინებს, რომ ეს

არახტაბილური ხაზი შესაძლოა მარცხნივ გაგრძელებული ყოფილიერ და მის შედეგად იქმოს მიღებული ნუსხურში ქვედა პორიზონტადი ლ. თუ თავდაპირველად ამ ახოს ლ ფორმა ექნებოდა, ითლი ასახესნელია, რომ ქვედა ხაზი მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული წერის პირობებში დამოკლებულიერ.

ასე 7 (ე) -ში მარჯვენა ვერტიკალური ხაზი იმთავითვე უნდა არ სებულიყო. როგორც უძველეს ასომთავრულ ხელნაწერებში, მაგალითად ხანძებ პალიმფსესტებში (1.გაბ.5), ისე ლაპიდარულ წარწერებშიც მკაფიოდ ჩანს, როგორ უერთდება რკალი ვერტიკალს 7 1. ამდენად შესაძლოა ამაღლებამდე ამ გრაფემას რ ფორმა პქონოდა და სხვა გრაფემებთან ხიმაღლები გათანაბრების მიზნით ვერტიკალი ხამოგრძელებოდა. ეს მოვლენა თვალსაჩინოა მხედრულის აღრეულ წარწერებშიც (6.99; 2. გაბ.5, IV, IX, XVII, XX, XXVII).

ასო ნ (6) ზოგ ხელნაწერში ისეა დადაბლებული (1.ტაბ.XIII), რომ  
პორიზონტალი რეალს ზედვე ეკვრის **¶** **¶**. ასო ლ (6)-ც დადაბლებულია.  
ქვედა პორიზონტალური ხაზი ძალიან მიახლოებულია რეალთან, ზოგან  
კი მარჯვნივ არის დახრილი **¶** **¶** (6,178).

ასო ყ (ქ) -ს V-VI საუკუნის პალიმფსესტებში მკვეთრად გამოხატული გეომეტრიული მოხაზულობა აქვს, შეკრული წრითა და მის თავზე პორიზონტალური ხაზით ყ (10,11) მოგვიანებით იგი იღებს ზემოთ გახსნილი რკალის ხახეს, რომლის მარცხენა ბოლოში მიერთებულია პორიზონტალი ყ ასეთია, მაგალითად ვვჯან ატენელის VIII საუკუნის წარწერაში (6.ტაბ.XXI), მაგრამ ხაგულისხმოა, რომ ზოგან რკალური მოუკვანილობა იკვეთება პორიზონტალური შტრიხის აღვილას, ვერტიკალთან შემაერთებელი ხაზი კი სწორდება ყ (2, ტაბ.5, XIV). ამან გვაფიქრებინა, რომ ასოს შესაძლოა თავდაპირველად თავი მარცხნივ პორიზოდა გახსნილი ჟ.

ასოთა ამაღლებისა და რკალური ფორმების აღდგენის შედეგად ზოგი გრაფემა ძალიან დაემსგავსა ერთმანეთს: (ჟ-ყ, ზ-პ, ლ-პ, ჩ-ტ) – (ძ-ძ) – ყ ; (წ-უ) – წ (წ - უ) – წ (ჩ - ხ) – ჭ ; ორი ასო-ნიშნის ერთნაირი დაწერილობა ანბანის შექმნის პირველ ეტაპზე ნაკლებ სავარაუდოა. ამიტომ ვდიქრობთ, რომ მათი დამსგავსება უფრო გვიან მოხდა.

დავაკვირდეთ ასოების გახსნის პროცესს. რეალური მოქმედობის ადგენისას წრიული ელემენტი ერთ გრაფემა – წ(წ)-ს ქვემოთ გაეხსნა, ორს – ბ და შ (ჭ)-ს – მარცხნივ, მარჯვნივ არცერთს არ გახსნა, ზემოთ კი თერთმეტს (ბზთლოება-ფფშ): **ყ ს ტ ი ტ ყ ყ ყ ყ**.

ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ზემოთ გახსნილი ფორმა ასომთავრულმა უკეთ შეითვისა. შესაძლოა სხვა რეალური ფორმებიც მოგვიანებით ამგვარით შეიცვალა და სწორედ ამან გამოიწვია ზოგიერთი გრაფიმის დამსგავსება.

ასო ყ (ყ) ც (ც) - თან შედარებით მაღალია, შესაძლოა რკალი ვერტიკალს თავშეკვრამდე სულ ბოლოში ერთვოდა და მარჯვნივ იქნ მიბრუნებული როგორც ეს არაერთ გვიანდელ ხელნაწერშია ၅ (2.ტაბ.5XXI,XXII...). ეს ფორმა წერის პროცესშივე იქნებოდა მიღრეკილი მარცხნივ გადახრისაკენ ამიტომ შესაძლოა იგი თავდაპირველად კი აღმართ ასე იწერებოდა – ც.

ზედა ს გრაფემებმა მსგავსი ფორმა ს აქა-იქ მიიღო ჯერ კიდევ ასომთავრულში და შემდეგ ასევე გაგრძელდა ნუსხეურშიც. ზე გრაფემის აღსანიშნავად რც მოხაზულობის გვერდით გვხვდება რც ფორმაც, რომელიც ასევე პ-ს ემთხვევა. უნდა ვივარაულოთ, რომ ეს მოხაზულობა ს (პ)-ს კუთვნილება იქნებოდა (31. ტაბ.5,XIV), ს (ლ)-ს კი თავდაპირველად ცოტათი მაინც განსხვავებული ხახე ექნებოდა და ზუსტად ვეღარ აღიდგინა. რც მოხაზულობა შეიძლებოდა მოეცა ქვემოთ, მარცხნივ ან მარჯვნივ გახსნილ ფორმებსაც. ვფიქრობთ, რომ ზემოთ გახსნილთან ამათგან ყველაზე მიახლოებულია რც რომელიც მიღრეული იქნებოდა რკალის ამოტრიალებისაკენ. ამ აზრს განგვიმტკიცებს იმ საერთო ტექნიკის არხებობაც, რომლის გამოც შეკრული რკალი არცერთ გრაფემას მარჯვნივ აღარ გახსნია.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა გრაფემების ს ჩ ყ საერთაულო მოხაზულობები რც ს რ შემთხვევაში ვერტიკალი და რკალი ზედა პორიზონტალური ხაზით უერთდება ერთმანეთს, დანარჩენ ორში კი - მარცხნიან ვერტიკალის ხაშუალებით. ეს ყველგან განპირობებული ჩანს წერის მიმართულებით მარცხნილან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ. ფორმები რც ა ამგვარი წერისათვის მოუხერხებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ელემენტების შემაკავშირებელი მარცხენა და ზედა ხაზები ამ გრაფემებში მოგვიანებით არის გაჩენილი და ახოებს პირველსახეში 90 გრადუსიანი რც ფორმები ექნებოდა. იგივე ეხება ასო ს-საც, რომლის პორიზონტალური ხაზი ბევრგან შეცირებული და მომრგვალებულია ს ს. შესაძლოა ისიც შემდგომშია გაჩენილი და მანამდე გრაფემას ს ხახე პქონდა (31. ტაბ.5, VI). არსებობს მოხაზრება, რომ ზედა და ქვედა პორიზონტალური ხაზები ქართულ ანბანში მწკრივების გამჟოფის ფუნქციას ასრულებდა. ამდენად მათი შემოტანა, მით უფრო, თუ წერის პროცესში გადაბმის მიზნით რო ელემენტს შორის მსგავსი გარდამავალი ელემენტი ისედაც იქნებოდა, გასაკვირი არ არის (14.167,187,194).

ასო რ (რ)-ს ვერტიკალის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ზოგ დოკუმენტში (31. ტაბ5,IV;6,115) უფრო წრეხაზის მეოთხედის ხაზით არის წარმოდგენილი, ვიდრე ნახევარწრისა რ რ , მათი ერთ სიბრტყეზე განფენა კი ნუსხეურში ყველგან დასტურდება – უ. ამიტომ ვფიქრობთ,

რომ გრაფემას პირველად თ სახე უნდა ჰქონოდა, რეფორმის დროს კი აუმაღლდა მარცხენა ნაწილი და კუთხოვანი გახდა.

შესაძლოა მსგავსი მოყვანილობა ჰქონოდა ასო **Q** (ო)-საც. არაერთგან დასტურდება მისი **Q** ფორმა, ადრეულ მხედრულში მეტწილად **W** სახისაა, საფარის ერთ-ერთ წარწერაში (15, 152) კი სამგზის გვხვდება შემდეგნაირად – **W**. სხვა დამწერლობებში ამ ნიშნების ურთიერთკავშირი არაერთგან დასტურდება (2,88). თუ გრაფემის პირველსახე იქნებოდა ს, მარცხენა ნაწილის ამაღლებით და შეკვრით, მივიღებდით ასომთავრულში ფართოდ გავრცელებულ, ჩვეულებრივ მოხაზულობას.

იშვიათი მაგალითების მოხმობით ჩვენ არ მივანიშნებთ იმაზე, თითქოს ამ წარწერათა ავტორებმა აუცილებლად იკოდნენ ქართული დამწერლობის საწყისი სახე. ამ თვალსაჩინო მოვლენას ჩვენ ვიუვნებთ მოხაზულობათა შორის მსგავსების ან ხაერთო ძირების ხაზგასასმელად. რადგან შეუძლებელია, რომ ერთი ფორმა მეორეთი ჩანაცვლებულიყო ამგვარი მსგავსების არარსებობის შემთხვევაში.

Ф-ს ზედა ნაწილი არაერთ წარწერაში გვხვდება ხან ნახევრად და ხან სრულად გახსნილი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მას ყ ფორმა ექნებოდა. ყ -ში მომხდარი ცვლილებები კი იმით შემოიფარგლება, რომ ზედა ნაწილი ხან კუთხოვანია და ხან რკალური. ვფიქრობთ, რომ მიხი საწყისი მოხაზულობა კი იქნებოდა. ჩანს, რომ ასოებში Փ და ყ (ფ, ქ) ვერტიკალური ხაზი ფუნქციონალური ელემენტია ყ. სხვაგვარად ისინი ს და უ (ო, ა) გრაფემებს გაიმეორებდა.

ლ-სა და ლ-ს ვერტიკალური ხაზების დაკარგვა ნუსხურში და ზოგიერთ ადრეულ ასომთავრულ წარწერაშივე (31.გაბ.5 X; 6. 77, 128; 6, 153) იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ისინი პირველწყაროსეული არ იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე გრაფემაში აღდგა რკალური მოყვანილობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ შეიძლება ს და უ ფორმები ჰქონოდა.

ასო **Ф** მართალია, ზოგ ხელნაწერში ზემოთ გაიხსნა და დაღაბლდა და შეიძლებოდა **W** მოხაზულობა გვევარაუდა, მაგრამ პორიზონტალის ქვემოთ ჩამოზრდის გამო **W** უძველეს სახეს დაშორდა და პორიზონტალური ღერძის მიმართ სიმეტრიულობა დაკარგა. გრაფემის **Ф** ფორმაში რკალური ელემენტი მარცხენა მხარეს იკვეთება. ამიტომ იგი წესით მარჯვნივ უნდა ყოფილიყო გახსნილი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ აქედან მას პორიზონტალური ხაზი ერთვოდა. ვფიქრობთ, რკალური ფორმა სხვა მხარეს უნდა ყოფილიყო. ზოგ წარწერაში პორიზონტალური ხაზი უერთდება არა ნახევარწრეს, არამედ სრულ წრეს **C**, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ამ გრაფემის ერთი დაწერილობა, რომელიც რამდენიმე წარწერაში დასტურდება **D** (6,100; 6,115) ამ შემთხვევაში ნახევარწრე თავად გვკარნახობს, რომ მარცხნივ უნდა გაიხსნას. თუ გრაფემას **C**-ფორმა ექნებოდა, ლოგიკურია,

რომ შეკვრის შემდეგ პორიზონტალის ვერტიკალთან მიერთება უფრო მოსახურებებელი ყოფილიყო, ვიღრე რკალთან, რადგან ის უფრო სტაბილურია და ამიტომ გაცვლილიყო ფორმები.

ბოლომდე გაუხსნელი დარჩა გრაფემები ჭდა ჭ. არაერთ აღრუელ წარწერაში მართი კუთხის აღგილას ორივეგან დახტურდება რკალური

**ძ პ** და **ტ** ფორმები (6.103; 6.125; 2. ტაბ.5XVII). შესაძლოა ამ გრაფემებში სწორი ხაზი კვეთდა რკალს ჸ. წერის პროცესში შეიკრა რკალის ნახვარი, ნახვარი კი კუთხოვანი გახდა და ამ აღრევის გამო მოხდა, რომ ამ ასოებმა თავდაპირველი ხახე ვერ აღიღებინა.

დაკვირვების შედეგებს რომ თავი მოვუკაროთ, ხაინტერესო სურათს მივიღებთ. 26 გრაფემა შედგენილია რკალის ან ერთ წერტილში მკვეთი რკალისა და სწორი ხაზის 90 გრადუსიანი ვარიაციებით. 9 ასეთი კომბინაციიდან გვაქვს 4 წევილი: უ კ (ლ, ყ); რ ს (ზ, ვ); რ რ (ლ, ლ, ლ) და 3 ოთხეული ც ც ც (ლ, ლ, ლ, ლ); ც ც ც ც (ზ, ჩ, ყ, ც). რადგან ანბანის შექმნის დროს ჩვენი ვარაუდით 36 ასო-ნიშანი უნდა ყოფილიყო, დავაკვირდით, ხომ არ შეიძლებოდა, რომ ეს ყოფილიყო ქართული ანბანის შექმნის პრინციპი და დარჩენილ 10 გრაფემას შევვხო უველა თოხეული.

უცნაური მოუკანილობა აქვს ჭ (რ)-ს **ჭ**. როგორც ჩანს, ამაღლება მოხდა ვერტიკალური ხაზის დამატებით. იგი, სხვა გრაფემებისაგან განსხვავებით, სრულიად მოუხერხებლად არის ასოზე მიერთებული

(31.ტაბ.5 XXII-XXVII) **ჭ ა**. მაგრამ შეიძლებოდა კი, რომ გრაფემას თრმხრივი რკალური ფორმა პქონოდა? თუ ანბანის შესაღვენად როტაციის პრინციპი იყო გამოყენებული, ასეთი მოხაზულობა ოთხ ფორმას ვერ მოგვცემდა. მოგვიანებით მხედრულში სტაბილურად გამოიკვეთა, რომ ჭ ასოს მარცხენა ნაწილი არა რკალს, არამედ სწორ ხაზს წარმოადგენს (31.ტაბ.5,XIX,XX). ამრიგად სავარაუდოა, რომ ასო რ-ს ამაღლებამდე უ ფორმა პქონოდა. ამაზე თითქოს მიგვანიშნებს V-VI საუკუნის ბოლონისის ერთ-ერთი წარწერა (6,86), სადაც ასოს მარცხენა რკალი ძალიან დაბალია, მარჯვენა კი ვერტიკალს უკიდურესად ქვემოთ ერთვის.

გრაფემა ზ როგორც აღვნიშნეთ გახსნილი ხახით დაემსგავსა ს-ს, რომელსაც ზოგ დოკუმენტში მარჯვენა ვერტიკალი დაბალი პქონდა ს-, რადგან გრაფემათა იდენტობა ანბანის შექმნის ქამს გამოსარიცხად მიგვანია, ვფიქრობთ, რომ ზ გრაფემას შესაძლოა პორიზონტალზე მიერთებული მარჯვნივ გახსნილი რკალის ფორმა - ც პქონოდა, რკალი შეკვროდა და ვერტიკალით ამაღლებულიყო - ზ. როგორც ჩანს, გვერდით გახსნილ რკალურ ფორმებთან დაკავშირებით ასომთავრულში არსებული ტენდენციის გამო შემდგომში თავდაპირველი ხახით ვეღარ გაიხსნა.

სავარაუდოა, რომ გრაფემებს ბ გ (ჭ) თავდაპირველად უ ფორმები

პქონოდა და თავშეკვრის გარდა დამატებოდა თითო ჰორიზონტალური ხაზი სტაბილურობის მიზნით. ბ (ქ)-ს მოხაზულობაში ზოგან სწორედ ასეთი ფორმა – ვერტიკალთან მიერთებული ჰორიზონტალი გვხვდება 5 (6.121). როგორც ჩანს, შემდგომში გრაფემის ზედა ელემენტი სხვადასხვაგვარ სახეს იღებს და ზოგ შემთხვევაში რკალიც იკვრება -

## 5 ს ბ ბ.

გ (ტ)-სთვის ჰორიზონტალის დამატება ოუცილებელი იქნებოდა წერის მარჯვენა ქვედა კუთხეში დამთავრებისათვისაც. ამ ხაზების კაპიტალური დამწერლობის პრინციპების შესაბამისად გაჩენის შესახებ საინტერესო აზრს გამოთქვამს რამაზ პატარიძე (14. 213, 256). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასო გ (ტ) თითქმის არ გვხვდება რკალური სახით. წრეხაზი რომ ზემოთ გახსნოდა ასო გ (ტ)-ს დაემსგავსებოდა ამიტომ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ქვემოთ გაიხსნა ც (29. სურ. 30), მეტწილად კი გაუხსნელი დარჩა. მოგვიანებით მისი თავდაპირველი ფორმის აღუდგენლობის მიზეზიც, ზეზყვ (ზოლუ) გრაფემების მსგავსად, ჩვენი რეფორმირებული ანბანის სტილისთვის გვერდით გახსნილი რკალის მიუღებლობა უნდა იყოს.

ასო გ (ტ) უძველეს დოკუმენტებში თრმაგად შეკრული და ჰორიზონტალური დერძის მიმართ სიმეტრიულია გ (6.63). საინტერესოა, რომ ამ გრაფემის ერთი რკალის შეკვრაც კი საქმარისი იქნებოდა, სხვა ასოებისაგან გამოსარჩევად, მაგრამ იმთავითვე შეიკრა თრივე. ამიტომ სავარაუდოა, რომ ის პირველსახეშიც სიმეტრიული ყოფილიყო ჰორიზონტალური დერძის მიმართ და პქონოდა → მოხაზულობა. ასეთი ფორმა ბევრად უფრო მიღრეკილი იქნებოდა თრმაგი შეკვრისაკენ, ვიდრე გ.

გრაფემა ჩ (ტ)-ს არასტაბილური დაბოლოება გვაფიქრებინებს, რომ იგი შეიძლება ʌ ფორმიდან იყოს ნაწარმოები გასწორხაზოვნების გზით. გრაფემის მარჯვენა ნაწილი ნახვარრკალური იყო და არა რკალური. ამიტომ უნდა ყოფილიყო არასტაბილური და გახსნენოდა გაურკვეველი დაბოლოება ჩ ჩ.

ასო გ (ჯ)-ს ადრეული ფორმის აღსაღენად საჭიროა გულდასმით შევისწავლით უძველესი ხანის ის წარწერები, რომლებშიაც ეს გრაფემა გვხვდება. სპეციალურ პალეოგრაფიულ ნაშრომებსა და სქემებში (2.9;14) იგი წარმოდგენილია გ ხანით. სამწუხაროდ, არ არის ხოლმე ინფორმაცია ასო გ (ჯ)-ს იმ მოყვანილობათა შესახებ, რომლებიც არაერთ ადრეულ ეპიგრაფიკულ ძეგლში გვხვდება. აქ მასში არ ფიგურირებს შეკრული სამკუთხა ფორმა. არის მხოლოდ სამი სწორი ხაზი, რომლებიც ხან ერთ წერტილშია თავმოყრილი, ხან კი ოდნავ დაცილებით იკვეთება.

ფორმა ʌ გვხვდება „ლამაზი გორის“ V -VI საუკუნის ჯვარზე, მოსახსენებლით (6.ტაბ.8); ბოლნისის 494 წლის ვარდან ნახპეტის მოსახსენებელში (6.ტაბ.4); ფორმა ʌ დაფიქსირებულია ბოლნისის ნახპეტის მოსახსენებელში (6.ტაბ.5); V -VI საუკუნის ჯვარზე ბარნაბაის

მოსახსენებელ ში „ლამაზი გორიდან“ (6, ტაბ.9) V -VI საუკუნის უკანგორის ხტელა ჯვრის კვარცხლბეჭის წარწერაში (6, ტაბ.19); 595-605 წლის მცხეთის ჯვრის თემების მოსახსენებელ ში (6, ტაბ.60). ამას გარდა, პანტიანის ეკლესიის VII საუკუნის წარწერაში შემონახულია ცოტათი განსხვავებული **λ** ფორმა (6, 84, 100).

თუ გავითვალისწინებოთ ამ პერიოდის ლაპიდარულ წარწერათა სიმცირეს, ამ მაგალითების უგულვებელყოფა ნამდვილად არ შეიძლება. პირველ შემთხვევაში თეორიულად შესაძლებელია, რომ გრაფემის ზედა მხარის ნაწილი წაშლილი იყოს და თავდაპირველად **X** კოფილიყო, მაგრამ ამის კვალი არ ჩანს და თან საეჭვოა, რომ უველა წარწერაში ერთი და იგივე აღგიღები დაზიანებულიყო. რაც შეეხება დანარჩენ წარწერებს, მათ თავდაპირველ მონახაზში ზემოხსენებული სამკუთხა ფორმის არსებობა თეორიულადაც კი გამორიცხულია, რადგან სამი სწორი ხაზი ერთ წერტილში იყრის თავს. **λ** ფორმა ნამდვილად ვერ იქნება **X** მოყვანილობის ნაშთი.

ჩვენ მიერ ნაჩვენები სამგვარი მოხაზულობა ხშირად ერთი და იმავე ძეგლის წარწერებშია დაფიქსირებინებს, რომ ამ მოხაზულობებში უფრო მსგავსებაა საძებნელი, ვიდრე განსხვავება. პალესტინის უდაბნოს ქართული მონასტრის V საუკუნის I ნახევრის და ბოლნისის სიონის V საუკუნის წარწერებში (I.ტაბ.1-6) ასო **X** საერთოდ არ არის ნახმარი. მცხეთის ჯვრის სტეფანოზ პატრიკიონის 585-605 წლის წარწერაში ამ ასოდან მხოლოდ მარჯვიდან მარცხნივ წარზიდული დიაგონალური ხაზი შემორჩა, რის საფუძველზეც გრაფემის იდენტიფიკაცია კი შეიძლება, მაგრამ მისი მოყვანილობის აღღენა - არა (6, 159). აქვე ნიშანდობლივია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმავე მონასტრის იმავე დათარიღების თემების წარწერაში **X**-ს ერთ წერტილში გადაკვეთილი სამი სწორი ხაზის მოყვანილობა აქვს - **λ**.

შესაძლებელია, რომ ასო **X** მიღებული იყოს **ε** მოყვანილობიდან იმავე პრინციპით, როგორითაც მოხდა სხვა ასოების ამაღლება. მარცხნიანი ზემოთ აიწია **έ** მასზე მიერთებული რკალი კი პორიზონტალთან ერთად გასწორდა და მარცხნივ გადაიხარა. დავით გარეჯის VII საუკუნის, მართვეცის წარწერაში გვაქვს ამასთან მიახლოებული მოხაზულობა **λ** (6, 115) სწორედ ამ ფორმას, ერთი ხაზის დაგრძელებით შეიძლებოდა მოეცა მოგვიანებით გაურცელებული **X** გრაფიკული სახე.

როგორც ჩანს, თავდაპირველად ამ გრაფემის ჯვართან ასოცირება არ ხდებოდა. ამიტომ, აღრექრისტიანულ ხანაშიაც კი, მას წერდნენ ერთმანეთის მკვეთი სამი სწორი ხაზის სახით. ქრისტიანულ სიმბოლოსთან მისი მიმსგავსება უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს (1049), მაგრამ იმის მიზეზად, რომ რკალური ფორმა ვეღარ აღდგა, სწორედ ეს მსგავსება მიგვაჩნია.

ასო ፭ (კ)-ს ამაღლება ელემენტებს შორის ვერტიკალური ხაზის დამატებით, როგორც ეს სხვაგან გვხვდება, აღბათ იმიტომ ვერ მოხდა, რომ ამჯერად ერთი ელემენტი მეორის შიგნით იყო მოქცეული ሲ. ამაღლება და წრეხაზად შეკვრა განხორციელდა პორიზონტალური ხაზის ვერტიკალური ჩამოზრდით (6,127,129). თუ რკალი ნახევარწრეს წარმოადგენდა, ხაზი კი მისი დიამეტრის ტოლი იყო, მაშინ პორიზონტალი რკალთან შედარებით მარჯვნივ იქნებოდა გამოზრდილი და წერის მიმართულების გამო მიღრებილი იქნებოდა ქვემოთ დახრისკენ. მარცხენა ელემენტი რომ თავდაპირველად მარჯვნივ გადახრილი რკალური მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო, ამას კარგად ამჟღავნებს ზოგიერთი წარწერა, მაგალითად VII საუკუნის მცხეთის ჯვრის კვარცხლბეჭებისა (6,ტაბ.16; 6.71) ც ც ც.

უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დასტურდება წ (წ)-ს შემდეგნაირი მოყვანილობები: ც პალესტინის უდაბნოს V საუკუნის წარწერაში (I.ტაბ.1), ც (ურბნისის სიონის V საუკუნის წარწერაში (6,63) და წ ბოლნისის სიონის V საუკუნის წარწერაში (6,66). რკალური და წრიული პარალელური ფორმების ვარიანტულობა, როგორც კახეთ, ქართული ანბანისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გვაინტერესებს, შეიძლებოდა თუ არა, რომ წ-ს ქვედა ელემენტი თავდაპირველად პორიზონტალური ხაზის ხახით ყოფილიყო წარმოდგენილი, გრაფემას 2 სახე ჰქონდა და მარცხენა მხარეს ვერტიკალის დამატებით ყოფილიყო ამაღლებული და შეკრული.

ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა, რომლებსაც ანბანის გრაფიკაზე უმუშავია, ქართულ წ-ს არამეული სადესაგან მიღებულად მიიჩნევს (31.222; 14.254; 2.178), იქ კი ამ ადგილას პორიზონტალური ხაზია. ვარაუდს იმის შესახებ, რომ ასევე იყო ქართულშიც, მხარს უჭერს ის, რომ გრაფემის ეს ელემენტი არასტაბილურია და ზოგ წარწერაში მას არა რკალური ან წრიული, არამედ ბოლოში კუთხოვანი სწორი ხაზის ფორმა აქვს წ (31.ტაბ.5, IV,VIII) ზემოდან ქვემოთ მიმართული წერის პირობებში არის ტენდენცია გრაფემის ქვემოთ დამთავრებისაკენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასო წ-ს პორიზონტალური ხაზი ქვემოთ ჩამოზრდილიყო და რკალური ფორმა მიედო. საინტერესოა ისიც, რომ ამ არამეული და ქართული გრაფემების გვიანდელმა განვითარებამაც მსგავსი სახე მიიღო წ (2.38 1.134,139).

ასოებზე ნ და ც საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვერტიკალურად განფენილი ელემენტების გადაბმა მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული წერის პირობებში მარცხენა ვერტიკალით ხდება. როგორც ვხედავთ, ეს პრინციპი მეორდება წ-ს შემთხვევაშიც, რაც ასევე მიგვანიშნებს, რომ ეს, „ლოგიკურად გამართლებული“ ხაზი მერე იქნება დამატებული.

რაც შეეხება ასო † (ქ)-ს ჩვენ იმთავითვე აღვნიშნეთ, რომ სავარაუდო იყო მისი სრული სახეცვლილება. ის იმ დარჩენილი ერთადერთი კ ფორმისა უნდა იყოს.

ნეპრესის, რუსთავის და ნაზარეთის წარწერათა  
ისტორიული მნიშვნელობა

XX საუკუნის II ნახევარში რუსთავის და ნეკრესის ტერიტორიებზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ 14 წარწერას (29) პალეოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (29.87). ლევან ჭილაშვილის წიგნში „ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“ ეს ეპიგრაფიული ძეგლები ძვ.წ. II – ას. წ. IV საუკუნეებით არის დათარიღებული. თუ ეს დადასტურდა, თავისთავად გამოირიცხება ქართული ანბანის წარმომავლობა ბერძნულიდან ქრისტიანულ ეპოქაში და მისი შექმნა V საუკუნის სომქენი მოღვაწის მესროპ მაშტოცის მიერ.

წიგნში წარმოდგენილი არქეოლოგიური და ისტორიული არგუმენტაციის გარდა (29.49-56) ამ წარწერათა სიძველეზე მიგვანიშნებს პალეოგრაფიული ანალიზიც. რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს ასოთა ადრეული მოხაზულობა და არა მათი შექმნის ზუსტი დრო, ამ წარწერების მონაცემებს გავაერთიანებთ და ერთად განვიხილავთ, როგორც დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ ეპიგრაფიკულ ძეგლთაგან უძველესებს. დავაკვირდეთ, როგორ აირეკლება მათში დამწერლობის ადრეული სახის რეკონსტრუქციის მცდელობისას ჩვენ მიერ გამოვლენილი სისტემური ტენდენციები.

წარწერათა მნიშვნელოვან ნაწილში არ არის დაცული მკვეთრი გეომეტრიული მოხაზულობა (29. სურ.28,30), ბევრგან არის დარღვეული თანაბრობა სიმაღლეში. ცალკეული ასო-ნიშნები ზოგან ორჯერ და მეტად დაბალია სხვებზე (29.სურ. 23,28,30,34).

ამ ძეგლებში საუკეთესოდ აისახა კუთხოვანი და თავშეეკრული ფორმების ვარიანტული და არა პარადიგმული მონაცვლეობა რკალურთან, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამ ელემენტებს მაღიფერენცირებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. კუთხოვანი ფორმით გვხვდება არა მარტო ს (ს) ს (29.სურ.22), ს(ნ) წ (29.სურ.30), ს(ნ) წ (29.სურ. 26), ს(ჟ) წ, რაც შედარებით გავრცელებული მოვლენაა სხვა ადრეულ ძეგლებშიც, არამედ სხვა, მათ შორის თავშეეკრული ასოებიც: ცყალფ (აბკოვ) ც ჭ ჭ წ წ (29.სურ.9,10,22,30,32,37), და ჭ(რ)-ს მარჯვენა ნაწილი ჭ (29.23), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ზოგადი ტენდენცია მხოლოდ კუთხოვანი ფორმების სასარგებლოდ არის მიმართული, რადგან გვხვდება საწინააღმდეგო მოვლენაც – გრაფემები ჭ(რ) (ვეგ) ერთ-ერთ უვალაზე ადრეულ წარწერაში (29.სურ.28)

წარმოდგენილია რკალური ფორმით შ1. ზოგადი სტილური ნიშნით ივანე ჯავახიშვილიც ცალკე გამოყოფდა მრგლოვან და კუთხოვან ასომთავრულს და მათ შესაბამის ნუსხურებს (31.183).

თავშეკრული გრაფემების გვერდით ხშირია თავგახსნილებიც. მაგ.: სამ ღ წ წ ჭ ჭ (თოზტფდლპ) (29. სურ. 30,28). ზოგი მათგანი რამდენჯერმეც მეორდება – ჭ (ბ) (29.სურ.22, 23). ამდენად, ფორმათა ვარიანტული მონაცვლეობა საკმაოდ მკაფიოა.

¶ (გ) გრაფემა ნეკრესის №6 წარწერაში (29.სურ.23) გვხვდება სრულიად დადაბლებული სახით. ჩვენი ვარაუდითაც მას ვერტიკალური ხაზი ამაღლების დროს უნდა დამატებოდა. ამდენად აქ საქმე უნდა გვქონდეს ადრეული ფორმის გამოვლენასთან.

¶ ასო (თ)-ს რუსთავის №4 წარწერაში (29.სურ.37) ზუსტად ისეთი – წრეხაზის მარჯვენა ნახევარზე (და არა მარცხენაზე) მიერთებული პორიზონტალური ხაზის ფორმა აქვს, როგორსაც ჩვენ ვვარაუდობდით.

7 (ი)-ს არაერთგან აქვს მახვილკუთხოვანი ფორმა დახრილი ვერტიკალით (29. სურ. 30), №8 წარწერაში კი (29.სურ. 28) ერთგან ისეთი რკალური მოყვანილობა აქვს, როგორსაც ვვარაუდობდით გრაფემის საწყის სახედ – ჟ.

ჩვენთვის საინტერესოა ასო (რ)-ს დაბალი მარცხენა ნაწილი (29. სურ.23) ქ ერთგან კი (29.სურ.28) მის ამ ელემენტს დახრილი სწორი ხაზის ფორმა აქვს და უახლოვდება ჩვენ მიერ ადრეულად მიჩნეულ მოხაზულობას ჭ.

საგულისხმოა, რომ † (ქ) ამ წარწერათაგან უკედაზე გვიანი პერიოდით – IV საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ ერთადერთ ძეგლში გვხვდება (29.სურ.30). ეს უკვე ქრისტიანული ხანაა და მას მიღებული აქვს ჯვრის ფორმა. ამიტომ წინასახეზე დოკუმენტურად დადასტურებულს ამეამადაც ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ეს გრაფემა წარმართობის დროინდელ არცერთ წარწერაში არ გვხვდება.

ც (ც) გრაფემაში გამოიკვეთა ის დეტალი, რომელსაც ჩვენ შემდგომში რედუცირებულად მივიჩნევთ. ეს არის მარცხენივ წაგრძელებული სწორი ხაზი წ (29. სურ. 26).

სამგან დასტურდება, რომ ასო (ჯ)-ს აქვს ზუსტად ისეთი ფორმა, როგორსაც ჩვენ ვვარაუდობდით მის ადრეულ მოხაზულობად ჭ. სხვა სახით იგი რუსთავ-ნეკრესის არცერთ წარწერაში არ გვხვდება. რუსთავის №1 წარწერის ამოკითხვისას ეს ასო-ნიშანი მიჩნეულია „ვ“ ბგერის აღმნიშვნელად და ნათქვამია, რომ „წარწერის მეოთხე სტრიქონის წაკითხვა პირობითია, რადგანაც ზ (ვ)-ს ფორმა უცნაურია და ანალოგიური ნეკრესის №10 წარწერის მესამე სტრიქონის მეხუთე

ნიშნისა” (29.52). ჩვენი აზრით ორსავე წარწერაში (29. სურ. 22,32) ამ მოყვანილობით ასო ჯ (ჯ) არის აღნიშნული და არა ზ(ვ). ჯ-ს ზუსტად ასეთივე ან მასთან მიმსგავსებული ფორმა არაერთ ადრეულ ეპიგრაფიკულ ძეგლში აქვს ʌ (6.100, 115) თან უმეტეს შემთხვევაში ის ჯვრის გამოსახულების ქვეშ არის ადგეჭდილი და სიტყვა „ჯვარის“ პირველი ასოა, რაც შეცდომას გამორიცხავს. ამდენად, გადასახელია სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი ამ გრაფემის ადრეული ფორმის შესახებ.

განხილულ წარწერებში არ გვხვდება ან სახეშეცვლილია და ვერ ამოვიცანით გრაფემები: ԽՍՎԳԲՆ (ტპჟემწ), რაც არ გვაძლევს საშუალებას გადავამოწმოთ ჩვენი მოსაზრება მათ-განვითარებასთან მიმართებით, მაგრამ ამ ძეგლებში გამოყენებული არცერთი ფორმა არ ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ გამოყოფილ პრინციპებს.

არქეოლოგიური მონაცემების ნაკლებობის შემთხვავაში ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღება ხშირად ემყარება გრაფიკულ ანალიზს (29. 84). თუ ასოთა სიმაღლეში თანაბრობას და თავშეკრულობას არქაულობის აუცილებელ ნიშნად მივიღებთ, მაშინ ნეკრესისა და რუსთავის წარწერების სიძვლის დადასტურება გაჭირდება, მაგრამ, როგორც კვლევამ გვაწვენა, ამ თვისებათაგან არცერთი არ უნდა იყოს ქართული დამწერლობისთვის პირველადი. ამიტომ ამა თუ იმ წარწერაში სიმაღლეში არათანაბარი და რკალური მოხაზულობის გრაფემების დადასტურება არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად გვიანდებია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასწორი კრიტერიუმების დამკვიდრებამ შეიძლება ფასი დაუკარგოს ყოველგვარ აღმოჩენას. ასე რომ არ მოხდეს, სასურველია, რომ ჩვენს დამწერლობაში მომხდარი რეფორმის გათვალისწინებით ხელახლა გადაისინჯოს ეპიგრაფიკული ძეგლების დათარიღების პრინციპები (29.60).

რუსთავისა და ნეკრესის ადრეული წარწერები ადასტურებს გრაფემათა ისტორიული განვითარების იმ სურათს, რომელიც დამწერლობის ძველი სახის რეკონსტრუქციის მცდელობისას შევიმუშავეთ. ასო-ნიშანთა შემადგენლობაში იკვეთება ნახევარწრე და სწორი ხაზი, მაგრამ გრაფემების დიდი ნაწილი ამ ძირეული ელემენტების მექანიკურ კომბინაციას არ წარმოადგენს, როგორიც ეს იქნებოდა განვითარების პირველ ეტაპზე. ასოებს ისეთი მოყვანილობები აქვს, რომლებიც არა ქვაზე, არამედ პერგამენტზე, ტყავზე ან სხვა რბილ მასალაზე. გაბმული წერის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო. გვაქვს: უ შა უ ჭ (ლმოფ) და არა ც-ს-ჭ.

პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ ძეგლების შექმნის პერიოდში ქართულ დამწერლობაში თანაარსებობდა როგორც ორიგინალური გრაფიკული სტილი, ისე მისგან განსხვავებული – მონუმენტური დამწერლობისთვის დამასახიათოებელი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი განვითარების გარკვეული ეტაპის გავლის

გარდა ქართულ დამწერლობას ამ დროისათვის რეფორმაც ჩატარებული უნდა ჰქონდა და მისი წარმოშობა უფრო აღრეულ ხანაში უნდა ვიგარაულოთ.

მრავალმხრივ საინტერესოა ნაზარეთის ხარების ეკლესიის ინტერიერში აღმოჩენილი წარწერების (330-427წ.) მონაცემებიც, რომლებიც წარმოდგენილია ზაზა ალექსიძის ნაშრომში „ლუკრი, სინას მთა, ნაზარეთი“ (28). აქ ვკითხულობთ: „ყველა გრაფიტი, გარდა ცალკე დაწერილი „ა“ გრაფემისა, კუთხოვანი ასომთავრულით არის შესრულებული. არა გვაქვს არავითარი ნიშანი „შ“ და „უ“ გრაფემათა თავშეერულობისა... გრაფიტების ხელი აშკარად დიდი ხნის ისტორიის მქონე, განვითარებულ დამწერლობას გულისხმობს, რომელიც შინაურ და არაოფიციალურ საქმეებშიც გამოიყენება“.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია მეცნიერის დასკვნა: „როგორც ჩანს, ქართული დამწერლობის საზეიმო, დეკორატიული და შორიდან წასაქითხი ხელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პილიგრიმული გრაფიტებისგან, მით უფრო, თუ ის იყო ამოჩხაპნილი და არა საღვავით შესრულებული, განსხვავდებოდა ყოველდღიური მიმოწერისგან, მალიადწერისგან. სრულიად აშკარაა ისიც, რომ სერიოზულად გადასახედია ქართული დამწერლობის სხვადასხვა სახეობის ქრონოლოგიაც“.

ფაქტობრივად ამ ახალ აღმოჩენებს და მკვლევართა დაკვირვებებს ერთი დასკვნისკენ მივყავართ, რომ სიმაღლეში თანაბარი და თავშეერული გრაფემების სტილი ქართული ანბანისთვის პირველადი არ უნდა იყოს. ჩვენი მხრივ დავამატებლით შემდეგსაც – ორმხრივ მართკუთხოვანი გრაფემების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ კუთხოვანი ფორმებიც რკალის სტილური ჩანაცვლების შედეგია და არა ჩვენი დამწერლობის „გენეტიკური“ თვისება.

### რეზორმა

თითოეული გრაფემის დონეზე მეღავნდება ზუსტად ისეთი ცვლილებები, რაც შეიძლებოდა ბერძნული კაპიტალური დამწერლობის გავლენით მომხდარიყო. ესენია:

1. ასოთა ამაღლება ა) გრაფემის პირველსახის ყველა ელემენტის თანაბარი გაზრდით ბ) მარცხენა ნაწილის აწევით გ) ვერტიკალური ხაზის დამატებით ან დაგრძელებით. დ) ერთადერთი გამონაკლისის სახით მარჯვენა ნაწილის აწევით.

2. რკალური მოხაზულობის წრეხაზად გარდაქმნა.

3. რკალური მოყვანილობის ა) გაკუთხოვანება ბ) გასწორხაზოვნება.

4. პორიზონტალური ხაზის დამატება, რომელიც საჭიროა ელემენტების გადაბმის ან მოხაზულობის სტაბილურობისათვის და ამასთანავე ბრტყელების გამყოფის ფუნქციასაც ასრულებს.

წარმოდგენილ ცხრილში თავდაპირველად მივანიშნებთ გრაფემის სავარაუდო პირველსახეზე, ბოლოში აღვნიშნავთ საყოველთაოდ გავრცელებულ ვარიანტს, შეაში კი, საჭიროების შემთხვევაში, ისეთ მოხსაზულობებს, რომლებიც დოკუმენტურად დასტურდება სხვადასხვა წეაროებში და დაგვეხმარება გრაფემის განვითარების აღქმაში:

ამდენად, ქართულ ანბანში რეფორმის შედეგად ცვლილებები სისტემურად უნდა იყოს ჩატარებული. განვიხილოთ ისინი თითოეულ გრაფებისთან მიმართებით. ၂ - ၂ მხოლოდ პროპორციულად გაიზარდა, ၁ - ၁ - ს რკალი შეეკრა და მარცხენა ნაწილი აუმაღლდა ვერტიკალის დამატებით. ၁ - ၁ - ს რკალი გაკუთხოვანდა და მარცხენა ნაწილი აუმაღლდა ვერტიკალის დამატებით. ၂ - ၂ ამაღლდა პროპორციულად და თავი შეეკრა. ၇ - ၇ ამაღლდა ვერტიკალის ჩამოგრძელებით და რკალი გაკუთხოვანდა. ၅ - ၅ - ს რკალი დაიკუთხა და აუმაღლდა მარცხენა ნაწილი. ၄ - ၆-ში ამაღლდა მარცხენა ნაწილი ვერტიკალური ხაზის დამატებით და რკალი შეიკრა. ၄ - ၄ - ს მარცხენა ნაწილი გაიმართა და მარჯვენა მეოთხედრკალის არამდგრადმა დაბოლოებამ პატარა პორიზონტალის ფორმა მიიღო. ၃ - ၃ პროპორციულად გაიზარდა,

ვერტიკალური ხაზით შეიკრა და უმეტეს შემთხვევაში 180 გრადუსით  
 შემოტრიალდა. 1 - 1 გაკუთხოვანდა და გაუსწორდა მარჯვენა ნაწილი.  
 2 - ს მარცხენა ნაწილი გაუსწორდა, მარჯვენა აუმაღლდა და  
 შეერთა ვერტიკალური ხაზის დამატებით. 3 - ს გაუჩნდა ელემენტების  
 შემაერთებელი ზედა პორიზონტალური ხაზი, მარცხენა ნაწილი ამაღლდა  
 ვერტიკალის დამატებით და რკალი შეიკრა. 4 - ჭ - ს ქვედა ნაწილი  
 შეეკრა, ზედა - გაუკუთხოვანდა და პროპორციულად ამაღლდა. 5 - ჩ  
 ამაღლდა მარცხენა მხარეს ვერტიკალური ხაზის დამატებით და ზოგან  
 რკალი გაუკუთხოვანდა. 6 - ც - ს გაეზარდა მარჯვენა ნაწილის  
 რკალური ფორმა. 7 - ვ ამაღლდა და შეეკრა მარცხენა ნაწილი. 8 -  
 ს პროპორციულად გაიზარდა. 9 - ყ - ს გაუჩნდა ელემენტების  
 შემაერთებელი ზედა პორიზონტალური ხაზი, რკალი შეეკრა და  
 ვერტიკალი დაუგრძელდა. 9 - ჟ ამაღლდა ვერტიკალის დამატებით  
 და პორიზონტალი თანდათან მოერკალა. 10 - ს - ს გაუსწორდა მარცხენა  
 ნაწილი. 11 - ჩ - ს რკალი შეეკრა და გრაფემის მარჯვნივ  
 დასამთავრებლად დაემატა პორიზონტალი. 12 - დ - ს რკალი შეეკრა  
 და ვერტიკალი დაუგრძელდა. 13 - ფ - ს რკალი შეეკრა და ვერტიკალი  
 დაუგრძელდა. 14 - ჟ მთლიანად შეიცვალა ქრისტიანულ ხანაში. 15 -  
 ი პროპორციულად ამაღლდა. 16 - ყ - ს რკალი შეეკრა. 17 - გ - ს  
 ნახევარრკალები შეეკრა და გაიმართა. 18 - ჩ - ს რკალი დაკუთხა და  
 ვერტიკალი დაუგრძელდა. 19 - ც პროპორციულად გაიზარდა, ქვედა  
 პორიზონტალი, რომელიც წერის მიმართულების ხაწინააღმდეგოდ იყო  
 მიმართული, თანდათან დაუმოკლდა. 20 - ჭ - ს რკალის ნახევარი შეეკრა  
 და ნახევარი გაკუთხოვანდა. 21 - ჩ ამაღლდა და შეიკრა მარცხნივ  
 ვერტიკალური ხაზის დამატებით. პორიზონტალი ნელ-ნელა ქვემოთ  
 ჩამოეზარდა. 22 - გ - ს დაემატა პორიზონტალური ხაზი გრაფემის  
 მარჯვნივ დასამთავრებლად. მოგვიანებით ზოგ წარწერაში რკალი  
 შეიკრა. 23 - გ ამაღლდა ელემენტების შემაერთებელი ვერტიკალური  
 ხაზის დამატებით და ზოგან რკალი გაუკუთხოვანდა. 24 - გ ამაღლდა  
 პროპორციულად და ზოგან გაკუთხოვანდა. 25 - რ - ს აუმაღლდა  
 მარცხენა პორიზონტალი და მარჯვენა ნაწილი გაიმართა, მოგვიანებით  
 კი, მარჯვენა დახრილი ხაზის დაგრძელებით ჯვრის ფორმას  
 დაუახლოვდა. 26 - ს - ს გაუჩნდა ელემენტების შემაერთებელი  
 პორიზონტალური ხაზი და აუმაღლდა მარცხენა ნაწილი.

ამაღლდა ყველა გრაფემა, ისედაც სიმაღლეში განფენილი 4-ის  
 გარდა. 13 ასო ამაღლდა მარცხენა, 1 - მარჯვენა ნაწილის აწევით, 13 -  
 პროპორციულად და 5 - ვერტიკალური ხაზის დამატებით. თავი შეეკრა  
 18-ს. კუთხოვანი ფორმა მიიღო 10-მა, გაიმართა - 2, პორიზონტალური  
 ხაზი დაემატა 5-ს.

რეფორმის შედეგად კარგახანს იყო პარალელური ფორმები.  
 ბოლოს წრიული მოყვანილობა, როგორც ორიგინალურ, რკალურთან

შედარებით ახლო მდგომი, ნაწილობრივ დარჩა, მაგრამ მთლიანად უცხო კუთხოვანი ფორმა ქართულმა ანბანმა, როგორც ჩანს, ვერ იგუა, ვგულისხმობთ მხედრულში გრაფემათა მთელი სისტემის მომრგვალებულ ფორმებს. იგივე უნდა ითქვას კაპიტალურობაზეც. მსოფლიოს მრავალ ანბანს აქვს მთავრული ასოები, მაგრამ ქართულმა ესეც უკუაგდო.

სიმაღლეში ხელახალი დიფერენციაციის დროს ნუსხურ დამწერლობაში გამოვლინდა კიდევ ერთი კანონზომიერება. თუმც ზოგი ახო ოთხხაზიანი სისტემის შუაში მოთავსდა, ზოგი მთელ სიმაღლეზე განვითარდა, ზოგი შუაში და ზემოთ და ზოგი შუა და ქვედა ნაწილში, ის ელემენტი, რომელიც თავიდან, ჩვენი ვარაუდით, რკალური იყო, თითოეულ შემთხვევაში მოექცა შუა ხაზებს შორის. ბუნებრივია, რომ ეს მომხდარიყო მაქსიმალურად დადაბლებულ გრაფემებში ცალიაში

- **ჭურუაშოთი** (ათილაოპლ) და მთელ სიგრძეზე განფენილებში:

**რ ა ხ - წ კ ს** (ტუნ). მაგრამ ასევეა დანარჩენებშიც და თან ეს ურთვარ კანონზომიერებას ექვემდებარება. თუ გრაფემის რკალური ფორმა სწორ ხაზზე ზემოთ **რ კ ჭ კ ლ კ უ** (ვტუყცწხ) ან მარცხნივ **რ კ ლ კ ლ კ უ** (ბგაჲ) იყო, მაშინ გრაფემა შუა და ქვედა ნახევარში განთავსდა:

**წ ლ ჭ კ ლ კ უ** და **კ უ რ უ ჭ კ უ** თუ იგი ქვემოთ **რ კ ლ** (დნბ) ან მარჯვნივ იყო **რ კ ლ** (ზრ) – ზემოთ **წ ს მ ს მ**. გამონაკლისია ახო **წ** (ჭ), რომელიც თავიდან კანონზომიერად ზედა ნაწილში იწერებოდა, მაგრამ მოგვიანებით ქვემოთ ჩამოიწია – **ჭ**. ამის მიზეზი ჩვენი აზრით ის უნდა იყოს, რომ მასში გაჩენილი იყო კიდევ ერთი რკალური ფორმა და ორიენტაცია მასზე გაკეთდა. ოთხი გრაფემა, რომლებშიაც გვერდზე მიბრუნებულ რკალს პორიზონტალი შიგნიდან უერთდებოდა ან კვეთდა, მკაცრ წესს ვერ დაემორჩილა. **რ კ ლ კ ლ კ უ** - **კ უ რ უ ჭ კ უ**. ამ დაკვირვებასაც იმ დასკვნამდე მიუყავოთ, რომ რკალი ქართული ახონიშნების ძირეული ელემენტია.

სხვა თეორიების მიხედვით ახსნა არ ეძებნებოდა ამა თუ იმ გრაფემის არაფუნქციონალურ და უცნაურ ელემენტებს, მაგ. ჭ-ს მარჯვნივ წარზიდულ პორიზონტალურ ხაზს, **რ კ ლ კ ლ კ უ** და **რ კ ლ კ ლ კ უ** წარზიდულ პორიზონტალურ ხაზს, რომ თითოეული მათგანი პირველწყაროსეულია.

გრაფიკული თვალსაზრისით ქართული ანბანი ერთიანი სისტემა ჩანს. არსებითი განსხვავება ბერძნულის მხგავსი და თავისებური ქართული ბერძნების აღმნიშვნელ გრაფემებს შორის არ არსებობს. ბერძნული ჯგუფის გამოყოფა გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს და ანბანის უცხოური რიგის შემოღებას უნდა უკავშირდებოდეს. ქართულმა მიხი სამეტყველო ბერძნითი კომპლექსის შესაბამისი 36 გრაფემა დააღაფა

იმის მიხედვით, რომელი იყო მის მიერ ანბანთრიგის საფუძვლად აღებულ დამწერლობაში და რომელი – არა. ჩვენი აზრით აქ განხორციელდა არა ანბანის შექმნა უცხო ალფაბეტის საფუძველზე, არამედ არსებული, ორიგინალური ასო-ნიშნების ახალ რიგზე დალაგება. რეფორმის დროს აქა-იქ სავარაუდოდ უნდა მომხდარიყო გრაფიკული სტილის და არა კონკრეტული მოხაზულობის სესხებაც. მოუხედავად იმისა, რომ ქართული ასო-ნიშნები ბერძნულიდან არ მომდინარეობს და ორიგინალური წარმოშობისაა, კვიქობოთ, რომ ბერძნულის გავლენას უნდა მივაწეროთ ის, რომ ლფ (ბფ)-ს პატარა წრიული ელემენტი ჩამოუყალიბდა, Ω (ო)-მ და ც (თ)-მ დიდი შექრული წრის და მისი ნახევრის ფორმა მიიღო, ლრუ (გვი) კი გაგუთხოვანდა (იხ. ბერძნული გრაფიკული ვფ, ით, ΓΕVI).

ბერძნული კაპიტალური დამწერლობის მიხედვით რეფორმა და გრაფემათა რიგზე დალაგება შეიძლებოდა მომხდარიყო კლასიკური ბერძნული დამწერლობის ჩამოყალიბების შემდეგ ანუ ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ რეფორმამდე ქართულ დამწერლობას განვითარების გარკვეული უტაბი განვლილი უნდა ჰქონოდა. ჩვენი ანბანი ახალი წელთაღრიცხვით V საუკუნის ახლო პერიოდში რომ შექმნილიყო, იგი გაცილებით უფრო სტაბილური იქნებოდა და არ იარსებებდა ფორმათა ისეთი ჭიდილი, როგორიც დასტურდება ჩვენამდე მოღწეულ პირველხავე წარწერებში.

თუ გავითვალისწინებთ ხარაქის პარგამონების (III-IIIსს.), 334 წლის „ქრონიკის“ შემდგენელის, იოანე ანტიოქიელის (VIIს.), და სვიდას (XIს.) ცნობებს იმის შესახებ, რომ „ოქროს საწმისი არის ეტრატზე აღნუსხული ხერხი თქროდამწერლობისა“, რომ იბერიელებს ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე უკვე გააჩნდათ დამწერლობა და კოლხებს შენახული ჰქონდათ „მამათაგან ნაწერი კვირბები“ – ქვისა და ხის წიგნები (8.116; 7.22-23; 18.145-168), დაუშვებლად არ უნდა მოგვეჩვენოს საქართველოში ორიგინალური დამწერლობის არსებობა ჩვენამდე მოღწეული ძეგლების შექმნამდე საუკუნეებით აღრვე.

### ქართული დამწერლობის შემანის საპარაზდო მოღელი

ჩვენი ვარაუდით ქართული ანბანი შეიქმნა არა რომელიმე დამწერლობის მიხედვით, არამედ რკალითა და სწორი ხაზით ან მარტო რკალით შედგენილი 9 გრაფიკული მოხაზულობის 90 გრადუსიანი როტაციით მიღებული ოთხეულებისაგან. ეს უმარტივესი და ალბათ ყველაზე ოპტიმალური კომპლექსია, რაც კი შეიძლებოდა შექმნილიყო დამწერლობისათვის. ამგვარი ასოების საწერად საჭირო იქნებოდა სულ ორი მარტივი ფორმა. მისი აღბეჭდვა შეიძლებოდა თიხაზე. საყურადღებოა, რომ უძველესი ლურსმული წარწერები სწორედ თიხამ შემოგვინახა და იქაც ფორმების მარტივი პრინციპი იყო მოძებნილი. გავარვარებული ლითონით ამგვარი გრაფემების ტყავზე აღბეჭდვაც იოლი იქნებოდა.

უძველესი დოკუმენტების მოუღწევლობის და მოგვიანებით ასოთა ბერძნული რიგის დამკვიდრების გამო, მნელია განვხაზდვროთ, ინვერსიულ ფორმათაგან რომლები იყო აღებული საწყისად. შესაძლოა ამის გარკვევაში სამომავლოდ ზოგიერთი გრაფემის მოხაზულობა ან სახელდება დაგვეხმაროს.

ჩვენ მიერ მიღებული ცხრა გრაფიკული ფორმა არ არის უცხო და მიუღებელი დამწერლობისათვის ამგვარი მოყვანილობის ასოები სხვადასხვა აღვაბეტებში ვხვდება: ყ [ w ] – ძველ სემიტურში, პ [ l,r ] – ფალაურში, უ [ ph ] – ძველ სემიტურში, ტ ( ph ) – არმაზულში, ჟ [ Š ] – ფარსულში, ც [ q ] – არქაულ ბერძნულში, რ [ th ] – საშ. ფინიკიურში, ბ [ h ] – ეთიოპურში, ტ [ ჰ ] – არაბულში (2.29,38,46,48,62,69). მაგრამ ამასთანავე ვერ ვიტუვით, რომ ჩვენს წინაპრებს შეეძლოთ ამ ნიშნების სესხება სხვადასხვა დამწერლობებიდან, რადგან ცხრავე ნიშანი ერთი პრინციპით არის შედგენილი – ორი უმარტივესი გეომეტრიული მოხაზულობის კომბინაციით.

ასეთი ხერხით – ცხრა მარტივი ფორმის 90 გრადუსიანი ტრიადით ანბანის შექმნის პრეცედენტი არ მოიძებნება, მაგრამ მარტო ამ მიზეზით მის შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავთ. რიცხვ ცხრას მრავალ უძველეს ქვეყანაში ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეგვიპტელებს და ძველ ბერძნებს ცხრადღიანი კვირა ჰქონდათ. შესაძლოა ეს ცხრა გრაფიკული ნიშანი თავდაპირველად სწორედ კალენდარულ დღეებს, წარმართულ ღვთაებებს, ცხრა ცას, მზის სისტემის ცხრა პლანეტას (ასევე წრით, რკალითა და სწორი ხაზით შედგენილი ჭრი ნიშნების მსგავსად) ან რაიმე სხვა მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდებოდა და შემდეგ შექმნეს მათ საფუძველზე ანბანი. ცხრის იდუმალი მნიშვნელობა ქართული ფოლკლორის წარმართობისდროინდელ ძეგლებშიც შესაძლოა იმავე წარმოშობისა იყოს.

შესაძლოა ქართველებს პირველადი ცხრა ნიშანი, რომლებშიც რკალი ერთ მხარეს იყო გახსნილი, გამოყენებული ჰქონდათ ერთეულების აღსანიშნად, მათი 90 გრადუსიანი ვარიანტები – ათეულებად, 180 გრადუსიანები – ასეულებად და როგაციის გზით მიღებული მეოთხე ჯგუფი – ათასეულებად. მაგრამ, ყოველივე ეს ამჯერად მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დოკუმენტური დასაბუთება.

საინტერესოა, რომ ასოს შემადგენელ ნაწილთაგან იმთავითვე იყო გამოყოფილი სწორი ხაზი და რკალი ანუ „ოოტა და რქაო“. სულხან-საბა წერს: „მართლ ჩამოზიდულსა მას ასოსა წერილთასა იოტა ეწოდების, ხოლო ზედა კერძო წარზიდულსა მას მრგულად და გურდივ – რქაო“ (13,332). როგორც გამოჩნდა, მთელი ქართული ანბანი ამ ორი ელემენტის კომბინაციით შეიძლება იყოს შედგენილი. ღვთაების 1722 წლის გუჯარში (2,108) ვკითხულობთ: „ვითარცა მათ დაემტკიცათ, ჩვენც უმეტეს დავამტკიცეთ: არცა რქა, არცა იოტა ავხოცეთ, ვითარცა

მხედველ ხართ გუჯრისა ამის რიგსა“<sup>4</sup>. ე. ი. არაფერი არ ამოგვიდია, არ შეგვიცვლიათ. შესაძლოა ეს იდიომი იმ დროიდან მოდიოდეს, როცა უგელა ასო და შესაბამისად ხაწერი, რქისა და იოტებისაგან შედგებოდა. მოგვიანებით იგი უფრო ზოგადი მნიშვნელობისა გახდა. რკალისა და სწორი ხაზის მხგავსი ფორმები უძველესი ადამიანებისთვისაც ძალზე ახლობელი იქნებოდა შშვილდისრის სახით.

ასეთივე საინტერესოა ამ ცხრა გრაფიკული ნიშნის ოთხგვარი ვარიაციით ასოების მიღების საფუძვლის კვლევა. სიტყვა ასოს ძველად შემდეგი მნიშვნელობაც ჰქონდა: „ასო ელადელთა ხმითა პქვიან კავშირთა, ამისთვის ფილოსოფოსთა მიერ ასონი სახელედებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქვეყანასა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყვა და სიტყვათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთაგან შეიმზადების სხეული და სხეულისაგან კაცი სრული“ (13,69).

ძველი შუამდინარეთის V ათასწლეულის კერამიკული ფირფიტების მოხატულობებში თითო გამოსახულება 4 ჯერ მეორდება და ერთმანეთის 90 გრადუსიან გარიაციებს წარმოადგენს (25.ტაბ.1).

ოცდათექვსმეტივე ნიშნის მოხაზულობა თავსდება სქემაში,

რომელიც კონცენტრული წრის, კვადრატისა და ჯვრისგან შედგება  . საგულისხმოა, რომ ტოლხაზოვანი ჯვარი, წრე და კვადრატი ფართოდ არის გამოყენებული უძველეს ქართულ ორნამენტებში: „ტოლმხრებიანი ხაზოვანი ჯვარი ჯერ კიდევ შემგროვებელი ტომების კულტურაში საკორდინაციო ნიშანი ყოფილა, რომელიც ქვეწიერების ოთხ მხარესთან იყო შეპირისპირებული“ (16.63). უძველესი ხანის ადამიანებს მიწა უძრავად წარმოედგინათ, ცა და ციური სხეულები კი მოძრავად (16.90). ამასთანავე ცა მათი აზრით ოთხკუთხედის ფორმისა იყო.

დიდი მნიშვნელობა აქვს „ჯვრის წრესთან დაკავშირებას და მათი სტრუქტურული ნათესაობის გამოვლინებას“. „ხაზოვანი საკორდინაციო ჯვარი, ან ციური გზაჯვარედინი... ცაზე მნათობის მოძრაობის ასახვისას გარკვეულ ცვლილებას განიცდის“ (16.66). „უძველესი ქართული ტრადიციით ჩინილაკის კალპი და გვერგვი გრაფიკულად წრეში ხახატული ჯვრის ფორმისაა, წვერებზე კი სფერული ფორმის კვერები, ბროწეულები და ვაშლებია წამოცმული ასტრალური სიმბოლოების აღსანიშნად. ისინი ცაზე მზის ოთხ მდგომარეობაზე მიგვანიშნებენ“ (16.77) საგულისხმოა, რომ ნეკრესში აღმოჩენილი, „ძვ. წ. I საუკუნით დათარიღებული ჯამების ძირებზე გამოსახულია დაბალი რელიეფით წრეებში ჩასმული ტოლმკლავი ჯვარი, რაც ციური სხეულების, კერძოდ კი მზის სხივების გამომსახველი უნდა იყოს“ (29.63).

ირაკლი სურგულაძის წიგნში „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ კვითხულობთ: „ბრუნვითი მოძრაობა, როტაციულობა და ციკლურობა არა მარტო სიმბოლო-ნიშნებისა და ხელოვნების ძეგლების კომპოზიციური თავისებურებაა ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის

კულტურებისათვის, არამედ ეს არის დროისა და სივრცის შეცნობის ძირითადი პრინციპი, რომელიც აზროვნების ყველა სფეროში ვლინდება და მათი გადმონაშთები თითქმის უკანასკნელ ხანამდე შემოინახა ხალხურმა კულტურამ“ (16.69). ჩვენთვის საგულისხმოა მკვლევარის სხვა მოსაზრებაც: „გარდა რელიგიურ-მაგიური და ესთეტიკური დანიშნულებისა, ხალხური დეკორაციული ხელოვნება აზრის ფიქსაციის საშუალებასაც წარმოადგენდა... ამდენად კავკასიის ორნამენტში უნდა მომწიფებულიყო დამწერლობის შექმნის ან მიხილების სხვა მხრიდან მიღებისათვის კველა აუცილებელი წინაპირობა“ (16.34).

### პოლოთქა

ქართული დამწერლობის წარმომავლობის ჩვენ მიერ შემოთავაზებული კერძია ემყარება მისი გრაფიკული განვითარების ზოგადსისტემურ კვლევას. ანბანის თითოეულ ასო-ნიშანს ნაშრომში პირველსახედ მიჩნეულ ფორმებთან უფრო მეტი მსგავსება აქვს, ვიდრე პერძნულ, ფინიკიურ ან რომელიმე სხვა დამწერლობის შესაბამის გრაფემებთან. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს აღმოჩენილ უძველეს წარწერებზე აღბეჭდილი არაერთი მოხაზულობა ემთხვევა ჩვენს ვარაუდს ადრეული ფორმების შესახებ. მიუხედავად ყოველივე ამისა, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ მასალას მრავალმხრივი პროფესიონალური გადამოწმება სჭირდება. მოხარული ვიქნებით, თუ აქედან რომელიმე დაკვირვება, მეთოდოლოგიური მიდგომა ან თვალსაზრისი მაინც გამოადგება მეცნიერებს ქართული დამწერლობის წარმომავლობის საბოლოოდ გარკვევაში.

ଦାରୁନାମାଳା ଲୋକରାତ୍ରିପାଇ

## პ 0 6 ა ა რ ს 0

ძართული ანგანის ვარმოგავლობის შესახებ არსებული ვერსიები	3
გერმნულიდან ვარმოგავლობის თეორია	3
ვინიკიურიდან ვარმოგავლობის თეორია	6
სოფხური ვერსია	9
ორიგინალური გრაფიკული ვარმოგავლობის თეორია	11
სეპტიმალურ შესაბამისობაზე დამყარებული თეორია	13
შემცირებულიან მიმართება	16
პირველსახის რეკონსტრუქცია	19
კვლევის პრინციპი	19
მიღრეპოლება რეალური ცორვის აღდგენისა და სიგადლეში დიფერენციალისტინ	22
გრაფიკების სავარაუდო აღრიცხვი მოხაზულობანი	27
ნეპრესის, რუსთავის და ნაზარეთის ვარწმინათა ისტორიული მნიშვნელობა	36
რევორმა	39
ძართული დამზარდობის შემთხვევა სავარაუდო გოდელი	43
გოდელისა	46
დამოყოფებული ლიტერატურა	47

የኢትዮጵያ አገልግሎት የደቡብ ማረጋገጫ ቤት  
የኢትዮጵያ አገልግሎት የደቡብ ማረጋገጫ ቤት